აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№36 (25.164) 20 სექტემბერი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, დასავლეთის მიმართულების ქარი – 12-17 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 21-26, მთიან რაიონებში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 26 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

„აქამოი“ – პატარა საქართველო ორდუში

ხატია იაშვილი 555 18 48 88

- მამა, სადაა საქართველო?

- აქაა შვილო, ჩვენს გულში.

ასე პასუხობს ორდუში მცხოვრები ჩვენებური ვოლქან ქარაშჩოღლუ (გოგიტიძე) მცირეწლოვან ვაუს, როდესაც თავისი ფესვებით ინტერესდება

გაზეთ „აჭარის“ თანამშრომლებს შესაძლებლობა გვქონდა, ბატონ ვოლქანს პირადად გავცნობოდით და ჩვენს სამშობლოზე ძალიან ბევრი გვესაუბრა. მას თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ორდუში, მის მიერ ახლად დაარსებულ „კავკასიის ქართული კულტურის ასოციაციაში“ ვსტუმრობდით. სამდღიანი პრესტური გაზეთ „აჭარის“ 103 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ჩვენებურმა ოსმან ჩალიშქან მჟავანაძემ (საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის და თურქეთ-საქართველოს სავაჭრო საბჭოს თავმჯდომარე) გვაჩუქა, დაგეგმა, განახორციელა და დაუვიწყარი დღეები გვისახსოვრა.

ქალაქ ორდუში ჩასვლამდე, საქართველოს გენერალურმა კონსულმა ტრაპიზონში ნიკოლოზ იაშვილმა მიგვიღო. ბევრი ვისაუბრეთ ჩვენთვის საინტერესო თემებზე. დაგვათვალიერებინა საკონსულოს შენობა, აგვიხსნა მათი მუშაობის პრინციპი და გაგვაცნო სიახლეები. როგორც ბატონმა ნიკოლოზმა პირად

იხ. 30-ე გვ.

ORDU OLAY

ACARALI GAZETECİLERDEN GAZETEMİZE ZİYARET

Ordu 19 Eylül Gazeteciler Cemiyetinin davetlisi olarak Ordu'ya gelen Gürcistan Acara Özerk Cumhuriyeti'nin Acara Gazeteciler Cemiyeti yöneticileri ile üyeleri Ordu Olay gazetesini ziyaret etti. Acaralı gazeteciler Ordu Olay'ın hazırlanışı, çıkışı ve yayını ile ilgili İmtiyaz Sahibi Zeki Mesut Özel'den bilgi aldı. Sıcak ve samimi bir ortamda geçen ziyarette Ordu Olay'ın Türkiye'deki yayın hayatında gösterdiği başarının nasıl ve hangi şartlarda Acara Özerk Cumhuriyeti'ne taşınabileceğini ele aldı. Durdiye Aksu

ხულო-ზარზმის გზის რეკონსტრუქცია აქტიურად გრძელდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ორი რეგიონის დამაკავშირებელი ხულო-ზარზმის გზის რეკონსტრუქცია აქტიურად გრძელდება. ასფალტ-ბეტონის საფარი უკვე დაგებულია გზის 31 კმ-იან მონაკვეთზე და გოდერძის უღელტეხილიდან ზარზმამდე მისვლა რეაბილიტირებული გზით არის შესაძლებელი.

უწყების ცნობით, რეაბილიტირებულია გზა კუროორტ ბეშუმის გადასახვევამდეც და სამუშაოები აქტიურად გრძელდება გზის დარჩენილ მონაკვეთებზე.

„ხულო-ზარზმის გზა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის შემადგენელი მონაკვეთია. რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია უტარდება 47-კილომეტრიან გზას. სარეაბილიტაციო მონაკვეთი დაბა ხულოდან იწყება, გაივლის გოდერძის უღელტეხილს და ადიგენის სოფელ ზარზმამდე მივა.

პროექტის ფარგლებში ასფალტ-ბეტონის საფარი იგება ორზოლიან გზაზე და ინტენსიური საპრევენციო სამუშაოები მიმდინარეობს რელიეფისა და რთული გეოლოგიური პირობების გამო განვითარებულ მეწყრულ უბნებზე. ხულო-ზარზმის გზა გადის რთულ გეოლოგიურ რელიეფზე და ბეშუმის სამთო-სათხილამურო კუროორტს აკავშირებს ბათუმთან და თბილისთან. მისი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ხელს შეუწყობს როგორც ზემო აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე ტურიზმის განვითარებას.

ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასაც და 1.5 სთ-ით შეამცირებს ბათუმიდან ახალციხემდე მგზავრობის დროს“, - აღნიშნულია სამინისტროს ინფორმაციაში.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„ბოდიში“ – შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯი თუ?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

„ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს. გორში შეხვედრისას მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა აქცენტი გააკეთა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე და ისაუბრა ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობის დალაგებაზე

მისი თქმით, არჩევნების შემდეგ, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ გასამართლდება, აუცილებლად დადგება დღის წესრიგში ქართულ-ოსური ურთიერთობის აღდგენის საკითხი.

„პირობას გაძლევთ, რომ ქართული ნიურნბერგის პროცესი ძალიან მალე ჩატარდება, რაც აუცილებლად გახდება ჩვენი შერიგების წინაპირობა. როდესაც ძმათა შორის სისხლიანი კონფლიქტის დამკვეთებს ვამხელთ, ხოლო შემსრულებლებს ამ უმძიმეს დანაშაულზე სამართლებრივად ვაგებინებთ პასუხს, აუცილებლად დადგება დღის წესრიგში ურთიერთობების აღდგენის საკითხი“, - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას.

ბიძინა ივანიშვილმა ისაუბრა ბოდიშის მოხდაზეც და აღნიშნა, რომ საკუთარი შეცდომების აღიარება, ქართველებსა და ოსებს შორის საუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის გახსენება იქნება იმ გზის დასაწყისი, რომელიც გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს ნდობის აღდგენის სურვილს გაუჩენს.

„26 ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე, როდესაც ომის გამჩაღებლები გასამართლდებიან, როდესაც უკლებლივ ყველა დამნაშავე ქართულ-ოსური ძმობისა და თანაცხოვრების დანგრევისთვის უმკაცრეს სამართლებრივ პასუხს მიიღებს, ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ, დავალების შესაბამისად, მოღალატე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები. რადგან ჩვენი, ქართველებისა და ოსების ქრისტიანული რწმენის ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი სწორედ შენდობაა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მტრების მიერ ჩვენი ხალხებისათვის თავს მოხვეული ძმათამკვლელი დაპირისპირება სწორედ რომ ისტორიული ურთიერთპატიებით და გულწრფელი შერიგებით დასრულდება“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

აღნიშნულ განცხადებას მოჰყვა გამოხმაურებები როგორც მთავრობაში, ისე - ოპოზიციაში.

მმართველი გუნდის წარმომადგენლები ოპოზიციას არასწორ ინტერპრეტაციასა და დეზინფორმაციაში ადანაშაულებენ. მათი თქმით, ეს განცხადება ხელზე დასახვევ თემად კიდევ ერთხელ აქცია ოპოზიციამ და მესამე სექტორმა.

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის აზრით, ოპონენტების ინტერესებში ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა არ შედის, რადგან, მისივე თქმით, ოპოზიციას, „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, საქართველოსთან დაკავშირებით სულ სხვა მიზნები აქვს.

„გამოჩნდა სახე არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ, რაც კიდევ უფრო სკანდალურია, ჩვენი არასამთავრობო სექტორის, რომელმაც ოს ხალხს უწოდა მკვლელები, პირდაპირ გააიგივა ოსი ხალხი ომის დამნაშავეებთან. რაც შეეხება პროცესს, არ არსებობს იმაზე დიდი მიზანი, ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ჩვენი გაცხადებული პოლიტიკა მოხდება მხოლოდ მშვიდობიანი გზით. მშვიდობიანი გზა გულისხმობს მხოლოდ შერიგების გზით სიარულს, შერიგება კი გულისხმობს სინანულს და ურთიერთპატიებას. ეს არის ის გზა, რომელიც ჩვენ მიგვიყვანს ერთიანი საქართველოსკენ“, - განაცხადა პაპუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებას აფასებენ პოლიტოლოგებიც. აღნიშნულ თემაზე ჩვენ ვესაუბრეთ პოლიტოლოგ სოსო მანჯავიძეს.

- ბიძინა ივანიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით ოპოზიციურ მედიასაშუალებებს უნდოდათ გადაეფარათ ერთი რამ. ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით გამოსვლისას ახსენა ომის შემკვეთები. ახსენა ის, რომ ეს გაკეთდა დავალებით. ვისი დავალებით გაკეთდა და რა მოხდა 2008 წლის ომის დროს, საერთოდ, რატომ მოხდა ეს ომი, ვისი ინტერესი იყო - ეს არის ამ ომის შემკვეთებისთვის მეტად უხერხული შეკითხვები და სააკაშვილი არის ამ საკითხის მთავარი მოწმე. ბიძინა ივანიშვილის მიერ ნახსენები ქართული ნიურნბერგის პროცესი გაიმართება იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს ფაქტები, რატომ მოხდა ეს ტრაგედია. ბოდიში ვის ვისთვის აქვს მოსახდელი, ეს გაირკვევა ფაქტობრივი მონაცემების დადგენის შემდეგ. ჩვენ უნდა დავადგინოთ, რა როლს ასრულებდა ამ ომში არკადი დვორკოვიჩი, მოსკოვში მოკალათებული ლიბერალური ფლანგი, რომელიც დაკავშირებული იყო შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებთან, ასევე, გიგა ბოკერია, რომელიც მაშინ უშიშროების საბჭოს მდივანი იყო და ახლო კონტაქტი ჰქონდა დვორკოვიჩთან და კიდევ უამრავი რამ უნდა დადგინდეს, რის დამალვასაც რადიკალები ასე აქტიურად ცდილობენ ინფორმაციული ხმაურით, - გვითხრა სოსო მანჯავიძემ. ექსპერტი ედიშერ გვენეტაძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილის ბოდიშის აზრი ყველამ კარგად გაიგო, მაგრამ სხვადასახვა ინტერპრეტაციას მიმართავენ.

- ბოდიშის მოხდაში ბატონი ბიძინა გულისხმობდა ურთიერთმიტევებას, ურთიერთობის დათბობას. მან აღნიშნა, რომ რად გვინდა მარტო ტერიტორია, თუ იქ არ იქნება აფხაზი და ოსი ხალხი. ეს აჟიოტაჟი შექმნილია გარედან, დაკვეთით, ვისაც არ აწყობს საქართველოში მშვიდობა. არავინ ამბობს, რომ მკვლელს და კრიმინალს მოვუხადოთ ბოდიში. ბოდიში უნდა მოვიხადოთ ერთმანეთთან, ისე ქვეყნის გამთლიანება არ და ვერ იქნება. ვფიქრობ, ყველამ ყველაფერი გაიგო, მაგრამ დაავალეს და სხვაგვარად საუბრობენ. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები ომის პარტიაა, - გვითხრა ედიშერ გვენეტაძემ.

ბოდიშის თემამ აღშფოთება გამოიწვია ოპოზიციაში. ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს არის მოღალატეობრივი საქმე და ისინი ბოდიშის მოხდას არ აპირებენ.

- საქართველოში ყველა ომი რუსეთის ხელით დაიწყო. ესაა ფაქტი, რომლის უარყოფას მხოლოდ რუსეთი ცდილობს. ბიძინა ივანიშვილმა წაიკითხა კრემლში დაწერილი ტექსტი. ესაა კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ემსახურება რუსეთს. სინამდვილეში, ბოდიში ჩვენს გმირ ბიჭებთან და ჩვენს შვილებთან გვაქვს მოსახდელი იმისთვის, რომ ამდენი ხანია ეს რუსული ხელისუფლება ვერ მოვაცილეთ საქართველოს, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში „ძლიერი საქართველოს“ აჭარის საარჩევნო შტაბის უფროსმა გენო თებიძემ.

„გირჩი - მეტი თავისუფლების“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის თემურ გორგაძის თქმით კი ეს ბოდიში არის იმის აღიარება, რომ საქართველომ ოსებს გენოციდი მოუწყო.

- ბოდიშის მოხდით ჩვენ ვაღიარებთ, რომ ოსებს მოვუწყვეთ გენოციდი. თითქოსდა მშვიდობისმყოფელი პუტინი მოვიდა და ოსები დაიცვა. ამით ჩვენ ვაღიარეთ, რომ პუტინი სწორად მოიქცა, როცა საქართველოს 20 პროცენტის ოკუპაცია მოახდინა. ბიძინა ივანიშვილი უპატივცემულოდ მოექცა იმ ადამიანებს, რომლებმაც ოსური რეპრესიები თავიანთ თავსა და ოჯახზე გამოსცადეს და, ასევე, რომლებიც ამ რეპრესიების წინააღმდეგ სამართლიანად იბრძოდნენ, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში თემურ გორგაძემ.

ჯერ ყველაფერი წინ არის. როგორ განვითარდება მოვლენები, ამას 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები გვიჩვენებს.

> ***„ბოდიშის მოხდაში ბატონი ბიძინა გულისხმობდა ურთიერთმიტევებას, ურთიერთობის დათბობას. მან აღნიშნა, რომ რად გვინდა მარტო ტერიტორია, თუ იქ არ იქნება აფხაზი და ოსი ხალხი. ეს აჟიოტაჟი შექმნილია გარედან, დაკვეთით, ვისაც არ აწყობს საქართველოში მშვიდობა. არავინ ამბობს, რომ მკვლელს და კრიმინალს მოვუხადოთ ბოდიში. ბოდიში უნდა მოვიხადოთ ერთმანეთთან, ისე ქვეყნის გამთლიანება არ და ვერ იქნება***

ქრონიკა

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა მოადგილე ლელა სურმანიძესთან ერთად, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, 100 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, რომლებსაც 5 და მეტი შვილი ჰყავთ, 400-ლარიანი ვაუჩერები, ხოლო დედ-მამით ობოლ ბავშვებს 200-ლარიანი ვაუჩერები გადასცა. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, სასკოლო ნივთებისთვის ვაუჩერების გადაცემა ბათუმის მერიისა და წითელი ჯვრის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა.

* * *

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, აჭარაში საოჯახო-სასტუმრო სახლების წახალისებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ახალი პროექტი „კარგი მასპინძელი“ დაიწყო. იგი ევროპული მოდელის „Good Host“-ის ანალოგია და მიზნად ისახავს ქალაქგარეთ გამორჩეული სტუმარმასპინძლობის, ავთენტური გარემოს, ვიზუალის მქონე საოჯახო-სასტუმროების პოპულარიზაციასა და სტიმულირებას, ტურისტული ბიზნესის განვითარებას. უწყების ინფორმაციით, პროექტი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ ევროპის სოფლის ტურიზმის ფედერაციასა და ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მოამზადა. „საოჯახო-სასტუმრო სახლების მასტიმულირებელი პროექტი „კარგი მასპინძელი“ აჭარაში პირველად ხორციელდება და მასში ჩართვა ნებაყოფლობითია. „კარგი მასპინძლის“ სტატუსის მისაღებად საჭიროა, მასპინძელი ფლობდეს მოწესრიგებულ საოჯახო-სასტუმრო სახლს, ქმნიდეს დასვენებისთვის საჭირო პირობებსა და კომფორტულ გარემოს, ზრუნავდეს სერვისის გაუმჯობესებასა და ავთენტიკური გარემოს შენარჩუნებაზე“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

* * *

ახალი სასწავლო წლისთვის საქართველოს სკოლებში 50 000-ზე მეტმა პირველკლასელმა დაიწყო სწავლა, აჭარაში კი ზარი 6 487 პირველკლასელისთვის დაირეკა. მოსწავლეთა რეგისტრაციის წესში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, დამატებით კიდევ 7000-მდე ბავშვს მიეცა სკოლაში დარეგისტრირების შესაძლებლობა. 2024-25 წლის სასწავლო პროცესს ქვეყანა არაერთი ახალი სკოლით ხვდება. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, 2023-2024 წლებში აჭარაში 5 სკოლის და 3 სპორტდარბაზის მშენებლობა დასრულდა. 62 სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ამ დროისთვის 6 სკოლის მშენებლობა და 20 სასწავლო დაწესებულების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილის ინფორმაციით, იმ სკოლებიდან, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, მოსწავლეები დროებით ალტერნატიულ მისამართებზე ივლიან, თუმცა სამუშაოები შესაბამის ვადებში უნდა დასრულდეს.

* * *

ბათუმის მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი განახლდა. 2013 წლიდან დღემდე, ქალაქში ათი საბავშვო ბაღი აშენდა, ოცს კი რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ნანეიშვილისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩებზე კიდევ 2 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდება, წლის ბოლოს კი აეროპორტის გზატკეცილზე ახალი ბაღი გაიხსნება, რაც საერთო ჯამში, 500 აღსაზრდელს მოემსახურება. - სააღმზრდელო პროცესის დაწყებას ვულოცავ ჩვენს პატარებს, მათ მშობლებს, პედაგოგებსა და ბაღების გაერთიანების თანამშრომლებს. თითოეულ მათგანს ვუსურვებ წარმატებულ და ნაყოფიერ წელს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებისთვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი, თანამედროვე, ბავშვთა უსაფრთხოებასა და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, წელს ნიკო მუსხელიშვილის ქუჩაზე და ივანე მესხის პირველ ჩიხში 360 აღსაზრდელზე გათვლილი ორი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა იწყება. ასევე, დაწყებულია და აქტიურად მიმდინარეობს საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტურად გარდაქმნის სამუშაოები, რაც ვადებით დათქმულ დროში დასრულდება.

* * *

ბათუმის ცენტრალური პარკის კოლონადების რეაბილიტაცია-რესტავრაცია დაიწყო. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, სამუშაოები, რისთვისაც 470 000 ლარამდეა გათვალისწინებული, მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. პროექტის ფარგლებში კოლონადების დაზიანებული ზედაპირების, არქიტექტურულ-დეკორატიული ელემენტების, ძეგლის, ფილებისა და სანათების აღდგენა იგეგმება.

* * *

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ქობულეთის დელეგატი გია ჭყონია სოფელ ოჩხამურის მოსახლეობას შეხვდა. ის, ასევე, ესტუმრა სოფელ დაგვის მკვიდრ იუსუპ ივანიძის ოჯახს. ინფორმაციას დელეგატი ავრცელებს. გია ჭყონიამ მოსახლეობის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია, მოსახლეობასთან ერთად შეაჯამა სოფლებში განხორციელებული პროექტები და ისაუბრა „ქართული ოცნების“ არჩევნებში გამარჯვების მნიშვნელობაზე.

* * *

სკოლა „პროგრესის“ პროფესიული განათლების ცენტრი გთავაზობთ უფასო სწავლებას IT მიმართულებით: ვებტექნოლოგიები, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირები - ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, პარალელურად, დაეუფლებიან პროფესიულ და სრულ ზოგად განათლებას. მიიღებენ სახელმწიფოსგან აღიარებულ დიპლომს, რომელიც გათანაბრებულია ატესტატთან. ეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას ან/და დასაქმების საშუალებას იძლევა. მინიმუმ სრული ზოგადი განათლების მქონე პირები (12 კლასი) დაეუფლებიან მაღალანაზღაურებად პროფესიას და მიიღებენ სახელმწიფოსგან აღიარებულ დიპლომს. ზრდასრულებისთვის სკოლა უზრუნველყოფს მათ ინტერესებზე მორგებულ სასწავლო გრაფიკს.

* * *

„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონპროექტს, რომელიც თანმდევ კანონპროექტთან ერთად, მესამე მოსმენით პარლამენტმა მიიღო, 32 არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაცია აპროტესტებს. ისინი მოუწოდებენ პრეზიდენტს, ვეტო დაადოს კანონის პაკეტს, სახალხო დამცველს კი ურჩევენ, მისი კრიტიკული საჯარო შეფასებისა და მომავალში სასამართლოში მისი გასაჩივრებისთვის ყველა ზომა მიიღოს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, საკანონმდებლო პაკეტის მიზანი წინასაარჩევნოდ საზოგადოების მანიპულაცია, რეალური პრობლემების გადაფარვა, ირაციონალური შიშის გაღვივება და ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე კიდევ ერთი ბარიერის შექმნაა.

ბათუმი – კულტურათა გაცვლის ადგილი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

იაპონური კულტურის ფესტივალი, რომელიც წელს მესამედ ჩატარდა ბათუმში, იმდენად წარმატებულად და მიზანმიმართულად წარიმართა, რომ იაპონიის ელჩმა ბათუმი კულტურათა გაცვლის და ორი ქვეყნის დამაკავშირებელ ადგილად აღიარა. კიდევ ერთხელ ნათლად გამოიკვეთა, რომ კულტურული დიპლომატია ქვეყნებს შორის ურთიერთობის მთავარი ინსტრუმენტია. ის ქმნის ახალ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს მოქალაქეებისათვის

რა სარგებელს მოუტანს კულტურული დიპლომატია ჩვენს კუთხეს და რა პროექტები განხორციელდება, ამის შესახებ აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში, ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბსუ-ის დოქტორანტი ***ლაშა ბოლქვაძე*** *გვესაუბრება, რომელიც ამავე უნივერსიტეტში იაპონური ენის ლექტორადაა მიწვეული.*

- ცნობილია, რომ კულტურული დიპლომატია ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა სახელმწიფოებისთვის. ამასთან დაკავშირებით როგორია თქვენი მოსაზრება და რამდენად პრიორიტეტული და განვითარებულია ასეთი ურთიერთობები საქართველოში?

- დიპლომატიური ურთიერთობების ადრე არსებული მეთოდები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებს მოიცავდა, არ აღმოჩნდა საკმარისი დასახული დიპლომატიური მიზნების მისაღწევად. ამიტომ წინა პლანზე წამოიწია კულტურის სფეროს ჩართულობის აუცილებლობა. კულტურა შეიცავს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ცივილიზაციის შედეგად დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლის გაცნობიერება და განვითარება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველო ამ მხრივ წარმატებულად დგამს ნაბიჯებს.

- ქვეყნის და, მათ შორის, ჩვენი რეგიონის საგანმანთლებლო პოლიტიკაზე მინდა გკითხოთ - რა პროექტები და ღონისძიებები განხორციელდა თქვენი თაოსნობით?

- ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია განათლების სფერო, ვინაიდან იგი ნებისმიერი დარგის განვითარების საწინდარია, ამიტომ ვცდილობთ, სხვადასხვა ღონისძიება განვახორციელოთ საგანმანათლებლო სფეროში. ვატარებთ კულტურული დიპლომატიის ღონისძიებას - იაპონური კულტურის ფესტივალს, რომელიც მესამედ გაიმართა წელს და უკვე ტრადიციული სახე მიიღო, ასევე - ღია ლექციებს (ენა, კულტურა, ისტორია), სემინარებს და სხვა. ეს ყველაფერი იმდენად

წარმატებული გამოდგა, რომ იაპონიის ელჩმა ბათუმი კულტურათა გაცვლის ადგილად და ორი ქვეყნის დამაკავშირებელ გულად აღიარა. იაპონიასთან მრავალწლიანი ურთიერთობების განმავლობაში, ჩვენი კუთხე, კულტურული დიპლომატიის თვალსაზრისით, პირველად მოიხსენიეს ასეთ მნიშვნელოვან ამპლუაში. ეს ძალიან დასაფასებელი და საამაყოა ჩვენი რეგიონისთვის და უდიდესი წარმატებაა.

- კულტურული დიპლომატიის კონცეფცია, მისი მნიშვნელობა და მთავარი კომპონენტები, თქვენეული შეხედულება და დახასიათება როგორია, როგორი უნდა იყოს კულტურული დიპლომატია?

- კულტურული დიპლომატია ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ქვეყანას შეუძლია მსოფლიოს წარუდგინოს საკუთარი ინტერესები და პოზიცია. დღევანდელ ევროპაში ჩამოყალიბებული ვითარება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ კულტურული დიპლომატია საგარეო პოლიტიკის ამოცანების ჩამონათვალში ნომერ პირველ საკითხად უნდა იქცეს. ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს თავისი კულტურის პოპულარიზაციას, უცხო ენის შესწავლას, ქვეყნის მიღწევების გავრცელებას. კულტურული დიპლომატიის მიზანია სახელმწიფოს პოზიციის განმტკიცება, ასევე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. კულტურული დიპლომატია ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქვეყნებისთვის, ვინაიდან მათი იმიჯი, წარსული, აწმყო და მომავალი სწორედ ამ ხიდზე გადის. ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში, კულტურულმა დიპლომატიამ სწორი სტრატეგიებით უდიდესი სარგებელი შეიძლება მოიტანოს - ერთმანეთს გააცნოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, მეტი ინტერესი გააჩინოს ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობის, სავაჭრო, სამრეწველო და ტურიზმის დარგებში თანამშრომლობის კუთხით, მისცეს გზა და შანსი საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების შექმნას და უნივერსიტეტებს შორის ჩამოაყალიბოს თანამშრომლობა.

- ეროვნული ცნობიერების ამაღლებისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებებში რა ღონისძიებების გამართვას მიიჩნევთ საჭიროდ?

- კულტურული ღონისძიების ჩატარებაში (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ) გადამწყვეტი მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა არა მარტო სახელმწიფოს, არამედ სამოქალაქო საზოგადოებასაც ენიჭება. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ურთიერთქმედებს სხვადასხვა კულტურასთან, ხელს უწყობს კულტურათა გაცვლას ისეთ მიმართულებებში, როგორებიცაა: ხელოვნება, სპორტი, მუსიკა, მეცნიერება, ბიზნესი და სხვა. აქედან გამომდინარე, ყველა ჩვენგანი უნდა შევეცადოთ, შევიტანოთ ჩვენი წვლილი სხვა ქვეყნებსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში, კიდევ უფრო გავაღრმაოთ ეს ურთიერთობები, რაც ეფუძნება ურთიერთპატივისცემასა და მეგობრობას. ამას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ჩვენი რეგიონის და ქვეყნის კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის.

- როგორც ცნობილია, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროინტეგრაცია, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს აზიასთან ურთიერთობაც...

- მეოცე საუკუნის დასასრულს, როდესაც საქართველომ მოიპოვა ნანატრი თავისუფლება, პირველ რიგში, შეიცვალა საგარეო პოლიტიკა და გაიზარდა საქართველოს უშუალო კონტაქტები არა მარტო ევროპის, არამედ აზიის ქვეყნებთან. საერთაშორისო გლობალიზაციის პირობებში ძალიან მწვავედ დადგა საკითხი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული საქმიანობისთვის საქართველოს ესაჭიროება კონკურენტუნარიანი, მაღალპროფესიული, პოლილინგვალური თაობის გაზრდა. ნებისმიერი საქმიანი ურთიერთობა იწყება ენისა და კულტურის ათვისებით. საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციამ ენობრივი სიტუაციის შეცვლა გამოიწვია. საქართველოს ევროპულ სივრცეში მისწრაფებამ განაპირობა ინგლისური ენის გაბატონება, მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქმიანი კავშირების დამყარება მოითხოვს აღმოსავლეთის ენებისა და კულტურების შესწავლას (იაპონურის, ჩინურის, კორეულის და სხვა). საქართველოს განვითარების პერსპექტივა არა მხოლოდ ევროპასთან, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებთანაცაა დაკავშირებული. გარკვეულწილად, ეს განპირობებულია საქართველოს უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობით - ჩვენი ქვეყანა განლაგებულია ამ ორი სამყაროს გზაგასაყარზე. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა ეგრეთ წოდებული „აბრეშუმის დიდი გზა“, რომელიც ევროპასა და აღმოსავლეთს აერთიანებდა და ხელი შეუწყო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. გასაკვირი არ არის, რომ ლოგისტიკა 21-ე საუკუნეში ცდილობს, ხელახლა შექმნას ასეთი წარმატებული ალიანსი ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან. თანამშრომლობა და დიპლომატიური ურთიერთობები მოითხოვს ენებისა და კულტურების შესწავლას. ამ საჭიროების გაცნობიერება საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ზრდაშიც ჩანს.

- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში იაპონურ ენას ასწავლით და, ცხადია, საგულისხმო დაკვირვებები გექნებათ იაპონური ცხოვრების წესზე, კულტურასა და განათლებაზე. რა არის მათი წარმატების საიდუმლო?

- იაპონიის მთავრობამ მოახერხა საკუთარი ქვეყნის ტრადიციების გააქტიურება, რამაც ხელი შეუწყო ახალი დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამ სტრატეგიამ გაამართლა და 21-ე საუკუნეში იაპონიამ მძლავრი ტექნოლოგიებითა და ორიგინალური ეროვნული კულტურით მსოფლიო საზოგადოებაში მაღალგანვითარებული ქვეყნის იმიჯი შეიძინა.

- რა შეიძლება გაიზიაროს საქართველომ იაპონიისგან თუნდაც განათლების კუთხით?

- ნებისმიერს, ვინც მოწოდებულია სწავლისკენ, მისცეს შესაძლებლობა, მოტივაცია, თუნდაც მატერიალური კუთხით, რომ არ დაბრკოლდეს. ამას გარდა, გაუხსნას კარი დაუფლებული პროფესიის გამოსაყენებლად, რაც შეაძლებინებს საკუთარი თავის განვითარებას, გაუჩენს შემოსავლის წყაროს და გაიზრდება კარიერულად.

- დაბოლოს, რომელი ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტა მიგაჩნიათ თანამედროვე პირობებში ყველაზე საშურად?

- ყოველი პრობლემა იწყება არასაკმარისი განათლებით ან კიდევ, გრძელვადიან პერსპექტივაში, უნდობლობის განცდით. ამაზე უნდა ვიმუშაოთ. მრავალი შესაძლებლობა და ალტერნატივა უნდა შევთავაზოთ ახალ თაობას, რომ მან ირწმუნოს საკუთარი თავის, გამოავლინოს გამბედაობა, სწავლის ინტერესი, მეტი კულტურული და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე და გახდეს საზოგადოების ღირსეული წევრი.

> ***„კულტურული დიპლომატია ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ქვეყანას შეუძლია მსოფლიოს წარუდგინოს საკუთარი ინტერესები და პოზიცია. დღევანდელ ევროპაში ჩამოყალიბებული ვითარება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ კულტურული დიპლომატია საგარეო პოლიტიკის ამოცანების ჩამონათვალში ნომერ პირველ საკითხად უნდა იქცეს***

აჭარის ტურისტულ პოტენციალს პარიზის გამოფენაზე ეცნობიან

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საფრანგეთში, პარიზში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ტურისტულ გამოფენა IFTM Top Resa 2024-ზეა წარდგენილი

მასში ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, 10 კერძო კომპანია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია მონაწილეობს. ინფორმაციას საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

„ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მრავალი წელია მონაწილეობს პარიზში, საერთაშორისო გამოფენა ტოპრეზაზე. წარმოდგენილები ვართ კერძო სექტორთან ერთად. ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ადმინისტრაციისა და კერძო სექტორის ჩართულობა, რადგან ეს პლატფორმა ხელს უწყობს უფრო მეტი ტურისტის მოზიდვას ევროპიდან, მათ შორის, საფრანგეთიდან საქართველოში“, - განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების სამმართველოს უფროსმა ანა კეკელიამ.

საფრანგეთიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების მოსაზიდად გამოფენაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე საუბრობს ტურისტული კომპანია „თრეველშოფის“ წარმომადგენელი მაკო ლეკიშვილი.

„გამოფენა საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩვენი კომპანიისთვის, რადგან ყოველწლიურად ფრანგი ტურისტების რაოდენობა იზრდება. ამას განაპირობებს ის, რომ საქართველოში

საფრანგეთიდან პირდაპირი ფრენებია როგორც თბილისის, ასევე, ქუთაისის აეროპორტებში. მათ ვთავაზობთ კულტურულ, სათავგადასავლო, ღვინისა და გასტრონომიულ ტურებს. იმედი გვაქვს, რომ გაისად უფრო მეტი ფრანგი ტურისტი ეწვევა საქართველოს და არა მარტო ფრანგი, რადგან დასავლეთ ევროპიდან, ევროპის სხვა ქვეყნებიდან საკმაოდ ბევრი წარმომადგენელია გამოფენაზე“, - აცხადებს მაკო ლეკიშვილი.

საფრანგეთის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საფრანგეთში საქართველოს საელჩოსთან ერთად, IFTM Top Resa-ს სტუმრებისთვის ქართული ღვინის დეგუსტაციას მართავს. გამოფენის სტუმრები ეცნობიან საქართველოს ტურისტულ პროდუქტებსა და სხვადასხვა მიმართულებას.

„ვიცი, რომ საქართველო საუკეთესო ღვინის ქვეყანაა და ქართული ღვინო გემრიელია. საქართველო ღვინის სამშობლოა, სადაც ათასობით წლის წინ პირველად მოამზადეს ღვინო. სამწუხაროდ, ჯერ საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ ვაპირებ ვიმოგზაურო, აღმოვაჩინო ეს ლამაზი ქვეყანა და დავაგემოვნო ქართული კერძები“, - ამბობს გამოფენის ვიზიტიორი ნიკოლა ფიოლე.

გამოფენის ფარგლებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თანამშრომლობის მიზნით, შეხვედრებს მართავს საერთაშორისო ტურისტულ კომპანიებთან და მედიაორგანიზაციებთან. ქართული კერძო სექტორის წარმომადგენლები B2B შეხვედრებს მართავენ მომავალ პარტნიორებთან ტურისტული პაკეტების შექმნის მიზნით.

IFTM Top Resa-ს ტურისტულ გამოფენაზე მსოფლიოს 170 ქვეყანაა წარმოდგენილი 1400 კომპანიით. პარიზის გამოფენას ტურიზმის სფეროს 30 ათასზე მეტი პროფესიონალი სტუმრობს.

რა უნდა ვიცოდეთ, სოკოს მოკრეფას და მომზადებას თუ გადავწყვეტთ?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

შემოდგომა სოკოს კრეფის მოყვარულებისთვის ნაყოფიერი პერიოდია, თუმცა მარტო სიყვარული საკმარისი არ არის, მისი ცნობაც უნდა შეგვეძლოს. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი Georgian Mushroom Company-ს დამფუძნებელი მიხეილ სამხარაძეა, რომელიც სოკოების სამყაროში გვამოგზაურებს:



- ძალიან ბევრს ჰგონია, რომ სოკო მცენარეთა სამეფოს მიეკუთვნება, თუმცა ეს მცდარი აზრია. სოკო მრავლდება სპორებით, რომლებიც მწიფდება სოკოზე და შემდეგ ვრცელდება ბუნებაში. სპორა ღვივდება და ავითარებს ჰიფებს, რომლებიც ქმნის მიცელიუმის ქსელს მიწის ქვეშ. მიწის ზემოთ ვხედავთ სოკოს ნაყოფსხეულს, რომელსაც ვაგროვებთ და მივირთმევთ. ყველა სოკოს განვითარებასა და ზრდას თავისებური შესაბამისი პირობები სჭირდება: ტემპერატურა, ტენიანობა, ნიადაგის შემადგენლობა, პარტნიორი მცენარეები და სხვა.

- როდის დაინტერესდით სოკოების სამყაროთი?

- სოკოებით მთელი ბავშვობა ვიყავი დაინტერესებული. სკოლის არდადეგებზე ხშირად დავდიოდი ტყეში ჭიათურის სოფელ უსახელოში. ბებია ცნობდა სოკოებს და მასწავლიდა. მოგვიანებით, 2019 წელს, ერთმა კონკრეტულმა სახეობამ დამაინტერესა და გავწევრიანდი „საქართველოს სოკოების“ ფეისბუქ ჯგუფში, ბევრი ახალი და საინტერესო ფაქტი გავიგე. აქედან დაიწყო სოკოების უფრო საფუძვლიანად შესწავლის ეტაპიც, რაც ახლაც გრძელდება.

- თუ არის სოკოს ისეთი სახეობა, რომელიც მხოლოდ საქართველოში გვხვდება?

- არის სოკო, რომელიც თავდაპირველად აღწერეს საქართველოში, ანუ აქ აღმოაჩინეს. მას მიენიჭა სამეცნიერო აკადემიური სახელწოდება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს სოკო მხოლოდ საქართველოში შეიძლება ვნახოთ. როგორც აღვნიშნეთ, სოკო ვრცელდება სპორით, რომელიც ქარს მთელს მსოფლიოში გადააქვს და ხელსაყრელი ჰაბიტატის პოვნისას, თუ შესაბამისი ბუნებრივი პირობები ექნება, იქაც გაიზრდება.

- საკვების გარდა, რა დანიშნულება აქვს სოკოს?

- უპირველესია მისი სამედიცინო დანიშნულება. პენიცილინი, სხვა ბევრი ანტიბიოტიკი ან სამკურნალო საშუალება შექმნილია სოკოსგან. საფუარი, რომელსაც ღვინის, ლუდისა და პურის წარმოებაში ვიყენებთ, ასევე არის სოკო. სოკოს მიცელიუმისგან წარმოებული ტყავი გამოიყენება მოდის ინდუსტრიაში. ჩერნობილში აღმოჩენილი სოკოს რამდენიმე სახეობა „ჭამს“ რადიაციას, ნასა კი იყენებს ამ სოკოებს სხვადასხვა ექსპერიმენტში. ცდილობენ შექმნან ისეთი სკაფანდრი, რომელიც ამ სოკოების დახმარებით ასტრონავტებს უკეთ დაიცავს კოსმოსური რადიაციისგან და სხვა.

- სოკოებით დაინტერესება ბიზნესადაც აქციეთ. ამაზე გვიამბეთ...

- მე და ჩემს მეგობარ ნიკა ჩაჩხიანს სოკოებისადმი ერთნაირი ინტერესი აღმოგვაჩნდა, რაც დროთა განმავლობაში, ჰობიდან საქმეში გადაიზარდა. ამჟამად ვთანამშრომლობთ რამდენიმე ტოპ რესტორანსა და შეფმზარეულებთან, ვამარაგებთ მათ ტყის ახალდაკრეფილი სოკოებით ზაფხულში და ხმელი სოკოებით - ზამთარში, როცა სოკოს სეზონი არაა. ეს მხოლოდ დასაწყისია. წინ კიდევ ბევრი საინტერესო იდეა გვაქვს ბიზნესის კუთხით.

- რომლებია ყველაზე შხამიანი და მომწამვლელი სოკოები და არსებობს თუ არა საქართველოში მომაკვდინებელი სოკო?

- ცხადია, საქართველოში ბევრი სასიკვდილოდ შხამიანი სოკო არსებობს და მცდარია წარმოდგენა, თითქოს ჩვენს რომელიმე რეგიონში შხამიანი სოკო არ იზრდება. იგი იზრდება მინდორშიც, ხეებზეც, ტყეშიც. მსოფლიოში ყველაზე მომაკვდინებელი შხამა სოკო გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა ფოთლოვან ტყეში. ყველაზე შხამიანი სოკოებია: შხამა სოკო, გალერინა, აბლაბუდიანი სოკოს სახეობები, ლეპიოტები...

- დაახლოებით რამდენი სახეობის სოკო გვხვდება საქართველოში?

- საქართველოში აღწერილია სოკოების 6000-ზე მეტი სახეობა, რაც ნიშნავს, რომ ეს სოკოები სხვადასხვა მეცნიერმა საქართველოს ტერიტორიაზეც დააფიქსირა და ოფიციალურად დადასტურებულად აღწერა. ამას გარდა, კიდევ არსებობს უამრავი სახეობის სოკო, რომელიც მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, აქაც გვხვდება, თუმცა ჯერ არავის გაუკეთებია აღწერა. სამწუხაროდ, ეს პროცესი წლებია, გაჩერებულია ქვეყანაში და ვიმედოვნებ, რომ მცირე ნაბიჯებით, მაგრამ ნელ-ნელა მაინც წინ წავალთ.

- საქართველოში ყველაზე იშვიათი და ძვირად ღირებული სოკო რომელია და სად შეგვიძლია მისი პოვნა?

- ეს არის ზაფხულის შავი ტრიუფელი. მცდარია მოსაზრება, რომ ის იშვიათია, საკმაოდ გავრცელებულია საქართველოს ბევრ რეგიონში - კახეთში, იმერეთში, რაჭაში, მცხეთა-მთიანეთში, თბილისის შემოგარენსა და სხვა ადგილებში. ტრიუფელის სხვა სახეობები აღწერილია ჯავახეთში. ძვირად ღირებული სოკოა, მაგრამ არა იმდენად, როგორც ბევრს ჰგონია ან როგორც ინფორმაცია ვრცელდება. წლებია, ამ და სხვა სოკოებზე ვმუშაობთ და რეალური ფასები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ხალხს წარმოუდგენია. ასევე ძვირად ღირებული და ძვირფასი სოკოა ხარისფაშვა, დათვის სოკო, ძაბრა სოკო, ნიყვი...

- სოკოსთან დაკავშირებით ბევრი მითი არსებობს. რას ეტყვით ამის თაობაზე მოსახლეობას?

- სამწუხაროდ, სოკოებთან დაკავშირებით ნამდვილად ბევრი მითია გავრცელებული. ვცდილობთ, სოკოს მოყვარულებში მეთოდურად გავავრცელოთ სწორი ცოდნა და ეს მითები ნელ-ნელა ამოვაგდოთ ცნობიერებიდან. მაგალითად: ტყუილია, რომ შხამიან სოკოებს არ ჭამენ მწერები და ლოქორები. ტყუილია, რომ ვერცხლის კოვზი დაგვეხმარება შხამიანი და საჭმელად ვარგისი სოკოების გარჩევაში. ნივრისა და ხახვის ამბავიც აბსოლუტური ტყუილია. სამწუხაროდ, არ არსებობს არცერთი უნივერსალური მეთოდი, რომელიც დაგეხმარებათ შხამიანი სოკოების არაშხამიანი სოკოებისგან გარჩევაში. ერთადერთი სწორი მიდგომაა, რომ უნდა ვისწავლოთ სოკოები სახეობების მიხედვით და მხოლოდ ის სოკოები შევაგროვოთ და წავიღოთ სახლში, რომლის ვარგისიანობაშიც 100 პროცენტით ვართ დარწმუნებული.

- რა სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავენ საკვებად ვარგისი სოკოები?

- სოკო საკვები ღირებულებებითაც საყურადღებო პროდუქტია. ის შეიცავს C, B1, B2, ვიტამინებს. ფოსფორშემცველობით სოკო თევზეულს უახლოვდება. რაქიტსაწინააღმდეგო ვიტამინი სოკოებში თითქმის იმდენივეა, რამდენიც კარაქში. სოკოების ქიმიური შემადგენლობა აჩვენებს, რომ იგი შეიცავს ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო ყველა აუცილებელ ნივთიერებას (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური მარილები, ვიტამინები, ამინომჟავები და სხვ.). ნედლ სოკოში ცილების შემცველობა 2-5%-ს აღწევს, ხმელ სოკოებში კი 16-25%-ია. სოკოების რბილობში აღმოჩენილია 18 სახის ამინომჟავა, აქედან 8 შეუცვლელია, რადგან ადამიანის ორგანიზმში ვერ წარმოიქმნება და მასში მხოლოდ მიღებული საკვებიდან შეიძლება მოხვდეს. ცხიმების (ლიპიდების) შემცველობის მხრივ, სოკო ყველა ბოსტნეულს აღემატება. ბუნებრივი ცხიმების შემცველობა სოკოებში საშუალოდ 1,3-2,7%-ს აღწევს, მათ შორის არის სტერინები, ფოსფატიდები, ეთერზეთები და ცხიმოვანი მჟავები. აღნიშნული ცხიმოვანი მჟავების ნაწილის სინთეზი ადამიანის ორგანიზმში ვერ ხდება და, შესაბამისად, შეუცვლელი პროდუქტია, რომელსაც მხოლოდ საკვებიდან ვიღებთ. ეს მჟავები ხელს უწყობს კანის ზრდასა და ნივთიერებათა ცვლას, ხელს უშლის ქოლესტერინის დაგროვებას. ასევე მნიშვნელოვანია სოკოს შემადგენლობაში არსებული ნახშირწყლები. მათი ძირითადი ნაწილი, რომელიც უჯრედის ფრაქციაში შედის, აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინისა და ტოქსიკური ნივთიერების გამოდევნას.

- როგორც ვიცი, აპირებთ სოკოზე შემეცნებითი ლიტერატურის შექმნას. რა ეტაპზე ხართ?

- დიახ, ვმუშაობთ სოკოების იდენტიფიცირების წიგნზე, სადაც მკითხველი მიიღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის, ზოგადად, სოკო, რა კვებითი ღირებულება გააჩნია, კულინარიულ რეცეპტებს და 300-400 სოკოს დეტალურ აღწერილობას დასურათებით. წიგნის ნაწილი დაწერილია. ამჟამად ვმუშაობთ სამეცნიერო ტერმინოლოგიის გაქართულებაზე, რომელიც გვჭირდება სოკოების აღწერისას.

- საქართველოში არ გვაქვს სოკოს კერძების მრავალფეროვანი მენიუ. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს სფერო განვითარდეს?

- სამწუხაროდ, ჩვენი სამზარეულო საკმაოდ მწირია სოკოების კუთხით. ვწვავთ ნიყვსა და ქამას. ვიყენებთ სათბურში მოყვანილ სოკოებს კეცზე შესაწვავად, ხინკალსა და ჩაქაფულში, მეტი არაფერი, თუმცა აქედან არცერთი არაა „კერძი“. იგი შეიქმნა მხოლოდ იმისთვის, რომ მარხვის პერიოდში ხინკალი და ჩაქაფული ისევ ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ფრანგულ სამზარეულოს რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ სოკოების გამოყენებით შექმნილი ათეულობით და ასეულობით კერძი აქვთ. უამრავი სახეობის სოკოს იყენებენ კულინარიაში. ჩვენთან ეს პროცესი მხოლოდ ახლა იწყება. მისი სწორად განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ხალხმა მასობრივად ისწავლოს სოკოს ძირითადი სახეობები. ჯერ ჩვენს სახლში უნდა დავიწყოთ ამ პროდუქტის საკვებად გამოყენება, შემდგომში კი, როცა ამ სოკოების მოხმარების კულტურა ჩამოყალიბდება, გაჩნდება მოთხოვნაც, სოკო რესტორნებშიც მივირთვათ. ამის ნათელი მაგალითი არის ნიყვი, რომელსაც უმეტესად, დასავლეთ საქართველოში მოვიხმარდით წლების განმავლობაში და ბოლო წლებში უკვე თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში რესტორნების მენიუშიც აქტიურად გვხვდება. იმედია, უახლოეს წლებში დათვის სოკოს, მიქლიოს და ძაბრა სოკოსაც ასევე აქტიურად ვიხილავთ სარესტორნო მენიუებში.

- თქვენმა კომპანიამ შექმნა ტრიუფელის საფუძველზე ალკოჰოლური სასმელი. როდის აპირებთ მის რეალიზაციას?

- ხანგრძლივი ექსპერიმენტების შედეგად, შევქმენით ტრიუფელის ბრენდი ჩვენი უნიკალური რეცეპტით. სასმელის წარმოებაში გამოყენებულია კახეთსა და იმერეთში მოპოვებული ზაფხულის შავი ტრიუფელი. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს პერიოდში უკვე აქტიურად გამოჩნდება რამდენიმე ადგილზე.

- რა შეცვალა თქვენში სოკოებით დაინტერესებამ?

- პირველ რიგში, ბუნებისადმი დამოკიდებულება. ტყე და ტყეში სიარული ისედაც ყოველთვის მიყვარდა. ვფიქრობ, საუკეთესო საშუალებაა განსატვირთად და ჯანმრთელობისთვისაც. ამ ჰობის დამსახურებით გავიგე, რამდენად დაკავშირებულია ტყეში ყველაფერი ერთმანეთთან და რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ტყის საფარი არ დავაზიანოთ, არ დავაბინძუროთ, გაუდაბნოებას არ შევუწყოთ ხელი. ასევე, აღმოვაჩინე, რომ ჩვენი ტყეები სავსეა უამრავი საკვებად ვარგისი და გემრიელი დელიკატესი სოკოებით, რომლებითაც შეგვიძლია ჩვენი სამზარეულოს გამდიდრება. ამისთვის მხოლოდ ერთი რამაა საჭირო, არ დაგვეზაროს ტყეში წასვლა, ხეტიალი და ვისწავლოთ სოკოების იდენტიფიცირება.

- პირადად თქვენ თუ აღმოგიჩენიათ ახალი სახეობა, რაც საქართველოში არავინ იცოდა?

- მე და ნიკა ჩაჩხიანი ძალიან ხშირად დავდივართ სხვადასხვა რეგიონის ტყეებში. გვინახავს რამდენიმე სახეობის ისეთი სოკო, რომელიც საქართველოში ოფიციალურად არავის აღუწერია აკადემიური მეთოდით. შესაბამისად, არცერთ სამეცნიერო წყაროში არ ფიქსირდება, რომ ეს სოკოები ჩვენს ტყეებშიც არის გავრცელებული. მომავალში ვაპირებთ, რომ ამ პროცესში აქტიურად ჩავერთოთ, ჩვენ აღვწეროთ ეს სოკოები და ამის შესახებ სამეცნიერო სტატიები გამოვაქვეყნოთ. ჩვენ მიერ ნაპოვნი ბევრი სოკო ევროპის მასშტაბით წითელ წიგნშია შეტანილი და იშვიათ სახეობად ითვლება. მსგავსი სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება მიკოლოგიით დაინტერესებულ ბევრ უცხოელ პროფესიონალს მოიზიდავს ჩვენს ტყეებში.

- დაბოლოს, ტოპ 5 სოკო, რომელიც უნდა გასინჯოს ადამიანმა...

- ცხადია, გემოვნება ძალიან სუბიექტური რამეა. გამისინჯავს 40-ზე მეტი სახეობის სოკო და ამაზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო გემოვნური თვისებების მქონე სოკოებში აუცილებლად შევიყვანდი ძაბრა სოკოს, დათვის სოკოს, ხარისფაშვას, ნიყვს, ხახვილოს, მარწყვიოს, ჯიმლას, მინდვრის ქამას, ყვითელ აბედას. ძალიან რთულია ტოპ ხუთეულში ჩავატიო საყვარელი სოკოები.

> *„ ტყუილია, რომ ვერცხლის კოვზი დაგვეხმარება შხამიანი და საჭმელად ვარგისი სოკოების გარჩევაში. ნივრისა და ხახვის ამბავიც აბსოლუტური ტყუილია. სამწუხაროდ, არ არსებობს არცერთი უნივერსალური მეთოდი, რომელიც დაგეხმარებათ შხამიანი სოკოების არაშხამიანი სოკოებისგან გარჩევაში. ერთადერთი სწორი მიდგომაა, რომ უნდა ვისწავლოთ სოკოები სახეობების მიხედვით და მხოლოდ ის სოკოები შევაგროვოთ და წავიღოთ სახლში, რომლის ვარგისიანობაშიც 100 პროცენტით ვართ დარწმუნებული*

როგორ მოვიქცეთ, ქალბატონებიც და ბატონებიც, სარკეში ჩახედვა რომ გვიხაროდეს?

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

დრომ მოიტანა და, ადრინდელთან შედარებით, უფრო მეტად ვზრუნავთ საკუთარ გარეგნობაზე, ვცდილობთ, უფრო ესთეტიკურად გამოვიყურებოდეთ. წლებთან ერთად ამაღლდა ცნობიერება, ვიცით, რა არის უფრო უსაფრთხო ჩვენთვის. ამასთან, დაიხვეწა ტექნოლოგიები და ექიმი ესთეტიკოსები გაცილებით ხარისხიან მომსახურებასაც გვთავაზობენ

როდისაა სასურველი სპეციალისტების დახმარება? ვის ვანდოთ ჩვენს გარეგნობაზე ზრუნვა? სად არის ზღვარი ბუნებრიობასა და რადიკალურ ცვლილებას შორის და რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის? - ამ და მკითხველისთვის საინტერესო სხვა თემებზე ესთეტიკური კლინიკა „ნეო-ნეოს“ ექიმი ესთეტიკოსი ***ლელა მეფარიშვილი*** *გვესაუბრება.*

- ქალბატონები დღეს უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ გარეგნობას, ცდილობენ, დრო შეაჩერონ და კარგად გამოიყურებოდნენ...

- ეს, უპირველეს ყოვლისა, ცოდნის ამაღლებამ განაპირობა, უფრო მეტს კითხულობენ. ადრე არ იცოდნენ, რა „ხილი“ იყო ესთეტიკა, ფიქრობდნენ, ბოტოქსითა და ფილერებით ორგანიზმზე ხდებოდა უხეში ზემოქმედება, რაც სახიფათო იყო ჯანმრთელობისთვის. ესთეტიკურ გარეგნობაზე დღეს გაცილებით მეტი ქალბატონი ზრუნავს, ვიდრე ადრე. ერთს ვიტყვი: ეს არის ჩვეულებრივი სახის მოვლის თერაპიული პროცედურები, ისეთივე, როგორიც სტომატოლოგთან, კოსმეტოლოგთან, დერმატოლოგსა თუ გინეკოლოგთან ვიზიტი. ზუსტად ასეთი მომართვიანობაა ჩვენს ცენტრებში.

- რა მომსახურებას სთავაზობთ მსურველებს ესთეტიკურ ცენტრში?

- ჩვენი ორგანიზმი დიდი რაოდენობით შეიცავს ჰიალურონს, კოლაგენს, ელასტინს, რომელიც ახალგაზრდობის ასაკში ჭარბად გვაქვს. 25 წლის შემდეგ ის მცირდება და კანის ცვლილებებს იწვევს. მოდით, ამას დაბერებას ნუ დავარქმევთ. გარდა ამისა, არის სახის მიმიკური გამოხატულება, რომელიც შეიძლება საერთოდ არ იყოს ასოცირებული ასაკთან და დისკომფორტს უქმნიდეს ნებისმიერს. აქედან გამომდინარე, თუ ვინმეს არ

მთავარი ტრენდი დღეს არის მოვლა და არა სხეულის რაღაც ნაწილის ჰიპერკორექცია, რაც, დამეთანხმეთ, ნებისმიერს ხელოვნურს ხდის.

- ხშირად გოგონებს სკოლის ასაკიდან უჩნდებათ საკუთარი გარეგნობის შეცვლის სურვილი.

- როგორც უკვე აღვნიშნე, 16 წლის ასაკიდან შესაძლებელია ესთეტიკური ჩარევები - დატენიანება, ბოტოქსი, ფილერი. მოზარდს საკუთარ გარეგნობაში რაღაც თუ არ

მოსწონს საკუთარი გარეგნობა, სრულწლოვანი ასაკიდან შეუძლია მიმართოს ესთეტიკოს ექიმს, რომელიც აღმოფხვრის ამ პრობლემას ნებისმიერის ვიზუალში. 16 წლის ასაკიდანაა შესაძლებელი ესთეტიკური ჩარევები - დატენიანება, ბოტოქსი, ფილერი, რათა პაციენტი საკუთარ თავთან ჰარმონიაში იყოს და სარკეში ჩახედვა უხაროდეს.

- ჰიპერკორექციაზეც გვითხარით რამე.

- ჰიპერკორექცია ისტორიას ჩაბარდა. პირადად მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ჩემთვის ცუდ ტონად ითვლება, როცა ადამიანს შეხედავ და მას აშკარად ეტყობა, რა პროცედურები აქვს ჩატარებული. ზომიერება, უპირველესად, ექიმმა უნდა დაიცვას. თუ პაციენტი მოდის და ითხოვს იმას, რაც მას არაესთეტიკურად წარმოაჩენს, ჩვენ - ექიმებმა უნდა ვთქვათ გადამწყვეტი სიტყვა და გადავარწმუნოთ. ექიმი ვალდებულია, ის შეაჩეროს და აუხსნას, რომ ეს ესთეტიკურად ულამაზოა. მიხარია, რომ 21-ე საუკუნეში მრავლად გვყავს მოვლილი ქალბატონი, რომ მათ გარეგნობაში. ზოგს - ცხვირი, ზოგს კიდევ ტუჩი ან ყვრიმალები არ მოსწონს. ვუხსნი მათ, რომ ყველაფერი ლამაზი აქვთ და ამ ეტაპზე ჩარევა არ არის საჭირო. ჩემდა საბედნიეროდ, ვახერხებ მათ დარწმუნებას და მაბედნიერებს ამ ნდობის მოპოვება. ახალგაზრდებს ეხსნებათ კომპლექსები, რომლებიც შეიძლება, მთელი ცხოვრება გაჰყვეთ. ექიმი მხოლოდ მაშინ უნდა დათანხმდეს დახმარებას, თუ ხარვეზი გარეგნობაში თვალსაჩინოა. მაგალითად, აქვთ მოკლე ტუჩი, სახე სიმეტრიადარღვეულია ან არ არის ჰარმონიული. თუ ექიმს ამის გამოსწორება შეუძლია და პრობლემა მოგვარდება, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ჩაერიოს მშობელთან ერთად.

- დღეს ძალზე მომრავლდნენ ამ საქმის სპეციალისტები და ბევრისთვის გახდა ხელმისაწვდომი მათი მომსახურება. როგორ ფიქრობთ, უპირველესად, ვისი პრეროგატივაა ეს და ვის უნდა მივმართოთ?

- აუცილებლად ექიმმა უნდა ჩაატაროს ეს პროცედურები. მარტო ზოგადი კურსების გავლა არ არის საკმარისი. ამას უფრო ღრმა, ამასთან, ანატომიის ცოდნა სჭირდება. ამას გარდა, პრეპარატი, რომლითაც მუშაობ, უნდა გქონდეს კარგად შესწავლილი და პაციენტისთვის უსაფრთხო იყოს. ნებისმიერი მედიკოსისთვის მთავარი ხარისხი, უსაფრთხოება და პროფესიონალიზმი უნდა იყოს. ხელმისაწვდომობა, რაზეც საუბრობთ, ხარისხს ვერ უზრუნველყოფს. იმ თანხაში, რასაც ბევრი სთავაზობს პაციენტებს, ხარისხიანი ფილერი, ბოტოქსი თუ სხვა პროცედურა ვერ გაკეთდება. პრეპატარების ღირებულებას ემატება ექიმის მომსახურება და კლინიკის ხარჯები, რაც გასათვალისწინებელია. სადაც დაბალი ფასებია, იქ თავად პაციენტს უნდა გაუჩნდეს ეჭვი, რა ხარისხის მომსახურებით ისარგებლებს.

- ალბათ, ამის შედეგია, დღეს ბევრი ძალიან არაბუნებრივად რომ გამოიყურება. ზღვარი სად გადის?

- ექიმსა და პაციენტს შორის ჯანსაღ ურთიერთობასა და ნდობაზე. ექიმმა კარგად უნდა შეისწავლოს პაციენტის გარეგნობა, გაითვალისწინოს ასაკი, მორფოტიპი, ანუ როგორი ტიპის სახეა. ეს არის ექიმის კომპლექსური მიდგომა. მან უნდა უთხრას, რა არის მისთვის უკეთესი. ხშირად მირჩევია პაციენტისთვის ეგრეთ წოდებული ღრძილოვანი ღიმილის მოშორება, რაზეც არ უფიქრიათ, უბრალოდ, არ იცოდნენ, შემდეგ კი შედეგით აღფრთოვანებულან. სწორედ ასეთი ემოციები გვაძლევს ექიმებს უფრო მეტ სტიმულს. თუ ისინი ისეთი რამის გაკეთებას მთხოვენ, რაც მათ ვიზუალზე უარყოფითად აისახება, ამას არ ვაკეთებ. ფინანსურ შემოსავალზე მნიშვნელოვანი ჩემთვის პაციენტის გარეგნობაა. უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებს, როცა იგი ჩემგან მიდის ბედნიერი და როცა ვიცი, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთე. თუ პაციენტი არარეალურს ითხოვს, არ უნდა დათანხმდე. პირადად მე ძალიან ბევრი პაციენტი გამიშვია კაბინეტიდან. ერთიცაა, მე გავუშვებ, სხვა მიიღებს, სწორედ ამაზე ვსაუბრობ

- წლებთან ერთად იხვეწება მედიკამენტების ხარისხი, მოქმედების ვადაც ინდივიდუალურია. რა პერიოდულობით უნდა „შეავსოთ“ სახე ამ პრეპარატებით და სად უნდა გავჩერდეთ?

- ნებისმიერი პაციენტის ისტორია გვაქვს, რითაც ვხელმძღვანელობთ. მათ განვუმარტავთ ყველაფერს, იციან ბოტოქსს, ფილერს, მეზოთერაპიას და სხვას რა დანიშნულება აქვს და როგორ უნდა გავიაროთ ეს ეტაპები. ჩვენ ვერ ვიტყვით, როდის რა გახდება საჭირო მომავალში, ეს ინდივიდუალურია და წინასწარ ამას ვერ გავთვლით. გააჩნია ორგანიზმის მეტაბოლიზმს, ჰორმონალურ მდგომარეობას, სპორტსმენია თუ არა, თუ მოიხმარს B ჯგუფის პრეპარატებს და სხვა მედიკამენტებს, რამდენია მის ორგანიზმში ანტისხეული... აქედან გამომდინარეა მისი გამძლეობაც.

- ქალაბატონებისთვის, რომელთაც შაქრიანი დიაბეტი აქვთ, რამდენადაა რეკომენდებული თქვენი მომსახურება?

- შაქრიანი დიაბეტი არ არის პირდაპირი უკუჩვენება. ბევრი იღებს მარეგულირებელ პრეპარატებს, ამ შემთხვევაში არ არის პრობლემა. თუ პაციენტი ინსულინდამოკიდებულია და მაღალი დონის შაქარი აქვს, მაშინ ერთად გადავწყვეტთ, რა შეიძლება გაკეთდეს ამ შემთხვევაში.

- ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში თუა რეკომენდებული თქვენთან ვიზიტი?

-კატეგორიულად არ შეიძლება. ლაქტაციის პერიოდში ამის გაკეთება დაუშვებელია. შესაძლებელია, ორგანიზმში შეყვანილი შემავსებლები რძიდან ადვილად გადავიდეს ბავშვზე, რამაც ზიანი მიაყენოს პატარას. იგივეს ვიტყოდი ორსულობის პერიოდზეც. იმედია, ქალბატონები აუცილებლად გაითვალისწინებენ ამ რჩევებს.

- დღეს მამაკაცებშიც ჩამოყალიბდა თავის მოვლის კულტურა. ხშირად მოგმართავენ?

- მივესალმები იმ ფაქტს, რომ მამაკაცებიც საკმაოდ აქტიურები გახდნენ თავის მოვლის მიმართულებით. განსაკუთრებით ხშირია მომართვიანობა ბოლო წლებში და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არ არის ასაკობრივი ზღვარი. ყველაზე ასაკოვანი მამაკაცი პაციენტი 70 წლის მყავდა. ქალების შემთხვევაში 85 წელი ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს ადამიანები იდეალურად უვლიან თავს, ზრუნავენ გარეგნობაზე, რაც ძალიან სასიამოვნო ფაქტია. მამაკაცების მომართვიანობას რაც შეეხება, 26 წლიდან იწყებენ ვიზიტს, ამ ასაკში უფრო სახის კანის მოვლაზე არიან ფოკუსირებულნი. ძალიან ბევრი მომმართავს ტუჩის აუგმენტაციისთვისაც, აგვარებენ ასიმეტრიული ტუჩის პრობლემას, რითაც ცდილობენ, ესთეტიკურად ლამაზად გამოიყურებოდნენ და კომპლექსები მოიშორონ. ხშირად ცოლებს თავად მოჰყავთ ქმრები, აქტიურობენ დებიც. მათი არგუმენტი ასეთია: ქალბატონები თუ არიან მოვლილნი, მამაკაცები რატომ არ უნდა იყვნენ?! ძალიან მახარებს ასეთი მიდგომა.

- რას ურჩევთ იმათ, ვინც თქვენთან მოსვლას გადაწყვეტს?

- უპირველესად იმას, რომ თუ რაღაც არ მოსწონთ საკუთარ გარეგნობაში, ადრეული ასაკიდან მიმართონ სპეციალისტებს, რათა სწორად განვსაზღვროთ, რა არის შესაცვლელი, გამოსასწორებელი, არის თუ არა საჭირო ექიმის ჩარევა, რათა დროულად დავიწყოთ პროცედურები. ხშირად მსმენია, რაში სჭირდება ახალგაზრდას ასეთი ჩარევაო. ჩემი აზრით, ბოტულინოთერაპია სულაც არ არის ასაკოვნების პროცედურა, ის ახალგაზრდებისთვისაა განკუთვნილი. მეტსაც გეტყვით, ძალიან ასაკოვან ადამიანებზე არც კეთდება. თუ აქტიურია მიმიკა, პიროვნება ხედავს მას

> ***„ ფინანსურ შემოსავალზე მნიშვნელოვანი ჩემთვის პაციენტის გარეგნობაა. უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებს, როცა იგი ჩემგან მიდის ბედნიერი და როცა ვიცი, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთე. თუ პაციენტი არარეალურს ითხოვს, არ უნდა დათანხმდე. პირადად მე ძალიან ბევრი პაციენტი გამიშვია კაბინეტიდან. ერთიცაა, მე გავუშვებ, სხვა მიიღებს, სწორედ ამაზე ვსაუბრობ***

და არ მოსწონს, მაგალითად, მუდმივად შეჭმუხნილი წარბები აქვს ან მხედველობის პრობლემამ გაუჩინა „ბატის თათები“, რატომ არ უნდა მოიხსნას პრობლემა?

- რა ასაკამდე შეიძლება თქვენი მომსახურებით სარგებლობა?

- ნებისმიერ ასაკშია მისაღები ამ პროცედურების ჩატარება. უბრალოდ, ძალიან ასაკოვნებში უმჯობესია ინექციური პროცედურები აპარატურული მკურნალობით ჩანაცვლდეს. ძალიან დაიხვეწა ტექნოლოგია და მრავალფეროვანი არჩევანია ამ მხრივ.

- თვლით თუ არა ამ პროცედურებს პლასტიკური ქირურგიის კონკურენტად?

- ჩვენი მომსახურება პლასტიკურ ქირურგიას კონკურენციას ნამდვილად ვერ გაუწევს. როდესაც კანი ზედმეტადაა მოშვებული, ამას ესთეტიკური პროცედურები ვერ უშველის. ერთიცაა: თუ სახეს წლების განმავლობაში სწორად ვუვლით, პლასტიკური ოპერაციის აუცილებლობა არ დადგება. ისე, ბევრია ამის მომხრე და ვერც დაუშლი. რაღაც პროცენტით შეიძლება კონკურენტად ჩაითვალოს ეს პროცედურები, რადგან როდესაც კანი მოვლილია, ის ნაკლებად დუნდება და ზედმეტი კანი აღარ წარმოიქმნება. ესთეტიკოსი მუდმივად ცდილობს, მის პაციენტს კოლაგენი და ჰიალურონის მჟავა საკმარისი რაოდენობით ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, უფრო კარგად ვუნარჩუნებთ ვიზუალს და ახალგაზრდულ იერს.

- თქვენი პაციენტები მადლიერებას როგორ გამოხატავენ?

- ვერ წარმოიდგენთ, როგორი სასიამოვნოა ჩვენთვის მადლიერების გამოხატვა. აი, ახლა ერთმა პაციენტმა მომწერა: „უღრმესი მადლობა, ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით. ზუსტად ისაა, რაც მინდოდა“. სწორედ ესაა ჩემთვის ბედნიერება. მიხარია, როცა მეკითხებიან, როდის ჩავალ მათ ქვეყანასა თუ ქალაქში, ან როდესაც პაციენტი წლების შემდეგ ბრუნდება საქართველოში და ისევ მოდის ჩემთან. ეს ადამიანები, პრაქტიკულად, ჩემი ოჯახის წევრები არიან, წლების განმავლობაში გრძელდება ჩვენი ურთიერთობა. მიხარია, როდესაც მეუბნებიან, რომ მე ისინი გავბედნიერე. ეს არის ყველაზე სასიამოვნო მომენტი ჩემს ცხოვრებაში.

- ქალბატონო ლელა, რას ურჩევთ მათ, ვინც ამ მომსახურებით სარგებლობას გადაწყვეტს?

- სიბერე და გარეგნობაში ცვლილებები გარდაუვალია. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ჰარმონიულად უნდა მოხდეს. მთავარია, ლამაზად დავბერდეთ და სარკეში ჩახედვა გვიხაროდეს. ჩემი ცხოვრების დევიზიც ესაა.

ახალი სასწავლო წელი – მაღალმთიან აჭარაში

აჭარის მთიანეთის საჯარო და კერძო სკოლებში ახალი 2024-2025 სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყო. შუახევის, ხულოსა და ქედის სკოლებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და რესურსცენტრის წარმომადგენლები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ასარჩევი დელეგატები იმყოფებოდნენ

* * *

დაბა შუახევის საჯარო სკოლაში სასწავლო წლის დაწყების ღონისძიებას შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, შუახევის რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე, აჭარის უმაღლეს საბჭოში ასარჩევი დელეგატი ფრიდონ ფუტკარაძე დაესწრნენ და პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს, საზოგადოების წარმომადგენლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

14 პირველკლასელს კომპიუტერები და იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ საჩუქრად გადასცეს. დამსწრეთ სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს სკოლის დირექტორმა მზია გოგაძემ, მენტორმა მასწავლებელმა თეიმურაზ დავითაძემ, დაწყებითი კლასების მასწავლებელმა ჟუჟუნა ბახტაძე-დავითაძემ. მოსწავლეებმა საცეკვაო ნომრები შეასრულეს.

ხიჭაურის საჯარო სკოლაში მივიდნენ და დამსწრეთ ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრა-

ჭაძემ, აჭარის უმაღლეს საბჭოში ასარჩევმა დელეგატმა ფრიდონ ფუტკარაძემ, მერის მოადგილე გურამ ზოიძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ტაკიძემ, სკოლის დირექტორმა მზევინარ ქათამაძემ. მოსწავლეებმა სიმღერები და ცეკვები შეასრულეს.

წელს შუახევის სკოლებში 102 პირველკლასელი მივიდა. ყველას პორტატიული კომპიუტერი და იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, ხოლო საჯარო სკოლის ყველა მოსწავლეს სასწავლო სახელმძღვანელოების სრული პაკეტი უფასოდ გადაეცა. სკოლები უზრუნველყოფილია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსითა და ინვენტარით. მიმდინარე წელსაც, ყველა მოსწავლე ისარგებლებს ტრანსპორტის უფასო მომსახურების პროგრამით.

შუახევის 43 საჯარო და საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაში 1266 მოსწავლეა.

* * *

ხულოს მუნიციპალიტეტის 49 საჯარო და საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სკოლაში წელს 2243 მოსწავლეა.

დაბა ხულოს საჯარო სკოლაში სასწავლო წლის დაწყების ცერემონიას ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, მერის პირველი მოადგილე ჯამბულატ მელაძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, მერის პირველი მოადგილე ჯამბულატ მელაძე დაესწრნენ. მათ ლენტი საზეიმო ვითარებაში გაჭრეს და აღსაზრდელებს, პერსონალს ახალმოსახლეობა მიულოცეს.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მუნიციპალიტეტის 23-ივე სკოლამდელ დაწესებულებაში დაიწყო.

გილი ჯამბულატ მელაძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე დაესწრნენ. მათ მოსწავლეებს, პედაგოგებს, მშობლებს სასწავლო წლის განახლება მიულოცეს.

* * *

ქედის მუნიციპალიტეტში სასწავლო პროცესი 29-ვე საჯარო სკოლაში განახლდა. წელს 155 პირველკლასელია რეგისტრირებული. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ყველა საჯარო სკოლას ეწვივნენ და ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

დაბა ქედის ვახტანგ პაპუნიძის სახელობის სკოლაში ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძესა და რესურსცენტრის უფროს დურმიშხან შავიშვილთან ერთად მივიდა.

მუნიციპალიტეტისა და რესურსცენტრის პირველი პირები იმყოფებოდნენ წონიარისის საჯარო სკოლაში და მოსწავლეებს, პედაგოგებსა

და საზოგადოების წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი დღე მიულოცეს.

- გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას მოსწავლეებს, პედაგოგებს და მშობლებს. განსაკუთრებულად მინდა მივულოცო ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა პირველკლასელებს. მათთვის დღეს პირველად დაირეკა სკოლის ზარი. ნაყოფიერ, მშვიდობიან და წარმატებულ წლებს გისურვებთ. თქვენი ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, - აღნიშნა როლანდ ბერიძემ.

დაბა ქედის საჯარო სკოლაში ტრადიციად იქცა ხის დარგვის ცერემონია, რაც პირველკლასელებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად გააკეთეს.

სწავლა ბაგა-ბაღებშიც განახლდა

* * *

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყინჩაურში სკოლამდელი დაწესებულება არასტანდარტულ შენობაში იყო განთავსებული. ბიუჯეტიდ-

ან მობილიზებული თანხებით ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაგა-ბაღის შენობა აიგო, რომელიც 60 აღსაზრდელზეა გათვალისწინებული და ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის.

ახალ საბავშვო ბაღში პირველი აღსაზრდელები უკვე მიიღეს. მისი ექსპლოატაციაში გაშვების ცერემონიას ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, მერის პირველი მოადგილე ჯამბულატ მელაძე დაესწრნენ. მათ ლენტი საზეიმო ვითარებაში გაჭრეს და აღსაზრდელებს, პერსონალს ახალმოსახლეობა მიულოცეს.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მუნიციპალიტეტის 23-ივე სკოლამდელ დაწესებულებაში დაიწყო.

* * *

რამდენიმე წლის წინ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეებში, დანარჩენი 4 სოფლის მსგავსად, სკოლამდელი დაწესებულება ამოქმედდა. იგი ერთობ უსახურ ტერიტორიაზე და შეუფერებელ შენობაში იყო. მახალაკიძეებელი დედები სკოლამდელი დაწესებულების სოფლის ცენტრში გადატანას და ახალი შენობის აგებას ითხოვდნენ. ეს მოთხოვნა წელს შესრ-

ულდა - ბიუჯეტიდან 300 ათასი ლარი გამოიყო ახალი შენობის მოსახერხებელ ადგილზე ასაშენებლად.

გახსნის საზეიმო ცერემონიას შუახევის მერი ომარ ტაკიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის მოადგილე რუსუდან შავაძე, ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი ნათელა გოგიტიძე ესწრებოდნენ.

პროექტის ფარგლებში აშენებულ კაპიტალურ შენობაში მოეწყო სხვადასხვა დანიშნულების ოთახები, სველი წერტილები, სამზარეულო, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის თანამედროვე სისტემა, დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმები და ადაპტირებულია შშმ პირთათვის. მოწესრიგებულია ბაგა-ბაღის ეზო და სათამაშო მოედანი.

მუნიციპალიტეტში 16 ბაგა-ბაღი და სკოლამდელი აღზრდის 8 ალტერნატიული დაწესებულება მოქმედებს, რომლებშიც 350-მდე აღსაზრდელია.

* * *

სასწავლო პროცესი განახლდა. ქედის მუნიციპალიტეტის 14 საბავშვო ბაღში. მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაწყება აღსაზრდელებს, მასწავლებლებსა და მშობლებს წონიარისის საბავშვო ბაღიდან მიულოცა.

ღონისძიებას ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გა-

ერთიანების“ დირექტორი აიშე თებიძე და ქედის რესურსცენტრის უფროსი დურმიშხან შავიშვილი ესწრებოდნენ.

წელს ქედის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში 100-მდე აღსაზრდელი პირველად მიიღეს.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ფესტივალი "ზე-კართან" დაიწყო

2013 წელს, შუახევის მუნიციპალიტეტში რეჟისორ ვახტანგ ბერიძის იდეითა და ორგანიზებით საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ დაფუძნდა. მას შემდეგ ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება, წყვეტილობა პანდემიის პერიოდში იყო.

წელს ფესტივალი ასეთი პროგრამით გაიმართება:

გუშინ დაბა შუახევის სახელოვნებო სკოლის ეზოში იგი ოფიციალურად გაიხსნა. მონაწილეებს მიესალმნენ თვითმმართველობის ხელმძღვანელები, შუახევის კულტურის ცენტრის ანსამბლები „შუახევი“ და „ნაი“. ჩატარდა დიანა ანფიმიადის საჯარო ლექცია „ტექსტის აღქმის მეთოდები და აუტიზმი“ და ჰარუნ ჩიმქეს ახალი თარგმანების წარდგინება. გამოიფინა და გაიყიდა ახალი ქართული საბავშვო წიგნები.

მონაწილეებმა მოისმინეს გიორგი ხორბალაძის საჯარო ლექცია „ზურაბ გორგილაძის პოეტური საზრისი“, შემდეგ მოეწყო პოეტური მარათონი.

ფრიდონ და ზაზა ხალვაშების ხელოვნების სივრცეში, სოფელ გეგელიძეებში გაიმართა ზაზა ხალვაშის მხატვრული ფილმის „ლოტოს“ ჩვენება. ნინი სანადირაძემ წაიკითხა ლექცია „მუზეუმები და მეხსიერების ძალა“.

ფესტივალის პირველი დღე ანნა ძიაპშიპას ფილმის „ავტოპორტრეტი ზღვარზე“ ჩვენებითა და მუზეუმის მენეჯერ ლეილა კეკელიძის გამოსვლით დასრულდა. მან ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაზე ისაუბრა.

დღეს, 20 სექტემბერს სოფელ საფუტკრეთში ნანა ტრაპაიძე წაიკითხავს საჯარო ლექციას „განსხვავება, როგორც ლიტერატურული პრობლემა“. ამ დღის პროგრამაშია: მოზარდების საკითხავი, ლალი ბადრიძის საჯარო ლექცია „კულტურული მრავალფეროვნება“, პოეტური ხმები, ია ვაშაკიძის საჯარო ლექცია „რაფიელ ერისთავი ქართული ენის ლექსიკისა და სტილის შესახებ“ და „1905 წლის რევოლუცია ბათუმში და ქართველი მუსლიმები“ - წიგნის წარდგენა.

ფესტივალის მეორე დღე დასრულდება თამარ გელიტაშვილის საჯარო ლექციით: „სიკვდილთან შერიგებული გენიოსი“ - გალაკტიონ ტაბიძის „შერიგება“ და „მთაწმინდის მთვარე“.

მესამე დასკვნით დღეს ხულოს მუნიციპალიტეტი უმასპინძლებს. ხულოს დრამატულ თეატრში გაიმართება შეხვედრა დათო ტურაშვილთან, მოეწყობა გიორგი კეკელიძის ახალი წიგნების წარდგენა.

ხულოში მონაწილეთა წინაშე წარსდგებიან ბათუმის კულტურის ცენტრის ქალთა აკადემიური კამერული გუნდი (სამხატვრო ხელმძღვანელი ზაირა ვადაჭკორია, მთავარი დირიჟორი - გელა ვადაჭკორია) და ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერმუხა“.

დღის ბოლოს ღონისძიების ოფიციალური დახურვა-დაჯილდოება და წიგნების გამოფენა-გაყიდვა გაიმართება.

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალების საგრანტო კონკურსის“ გამარჯვებულია. ასევე, ფესტივალის ფინანსური მხარდამჭერია შუახევის კულტურის ცენტრი.

სამყაროს უცქერს ბავშვის თვალით...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ბათუმელ მწერალ დალი თედორაძის ზღაპრებს ახლა არა მარტო ჩვენი, არამედ იტალიელი მკითხველიც ინტერესით ეცნობა. ამას წინათ ის იტალიის ქალაქ რეჯო კალაბრიაში მიიწვიეს წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე. იტალიურ ენაზე გახმიანებულმა მისმა ზღაპრებმა ფესტივალის დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა. საინტერესო ზღაპრების ავტორს ჯეროვანი პატივი მიაგეს. ფესტივალში არაერთი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა

ქალბატონი დალი ფესტივალის მნიშვნელობასა და მიზნებზე გვესაუბრება.

- თქვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლეა... გვულისხმობ თქვენი ზღაპრების უცხო ენაზე თარგმნას. მოგვითხრეთ ამის თაობაზე.

- დიახ. მნიშვნელოვანი და ძალიან სასიხარულო სიახლე, რომელზეც ყველა ავტორი ოცნებობს. სრულიად მოულოდნელად მითხრეს, რომ იტალიაში ტარდება წიგნის საერთაშორისო ფესტივალი. უნდა გადამეგზავნა ზღაპრები, საბავშვო ლექსები, ითარგმნებოდა და მოწონების შემთხვევაში მიმიწვევდნენ ფესტივალზე. გაოგნებას უსაზღვრო სიხარული მოჰყვა, სიხარულს - განცდები, მოეწონებოდათ, თუ არა... და აი, ერთ დღეს, როგორც ზღაპრებშია, გავემგზავრე იტალიაში, კერძოდ, ულამაზეს ზღვისპირა ქალაქ რეჯო კალაბრიაში, წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე.

- რას გვეტყვით ამ ფესტივალზე, მის მონაწილეებსა და მნიშვნელობაზე?

- ფესტივალი, რომლის დამფუძნებელია გამომცემელი დომენიკო პოლიტო, ათი წელია, ტარდება. ფესტივალი საკმაოდ წარმატებული და ნაყოფიერია, განსაკუთრებით - ჩვენთვის, რადგან ასეთი დიდი კულტურის ევროპულ სახელმწიფოში მოგზაურობა, იტალიელ თუ სხვა ქვეყნების მწერლებთან შეხვედრა, გაცნობა, თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ფესტივალში მონაწილეობდა იტალიის ბევრი ქალაქი, ასევე, უკრაინა, არაბეთი, სომხეთი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტრანსკავკასიურ ლიტერატურას - სომხურს და ქართულს. საპატიო სტუმრად საქართველოდან მიწვეული იყო პოეტი დავით მაღრაძე. ფესტივალის დამსწრე საზოგადოებრიობა საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ. მწერლებისა და პოეტების გარდა, ესწრებოდნენ გამომცემლები, კულტურის სფეროს სხვა წარმომადგენლები, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში, ბიზნესმენები, ჟურნალისტები, იტალიის ყველაზე დიდი - ასპრემონტეს პარკის წარმომადგენლები, რეჯო კალაბრიის და ასპრემონტეს მერები, რომლებიც დაინტერესდნენ ბათუმის ტურისტული პოტენციალით და რომაული ფესტივალით. ფესტივალი გაჩემი მოხვედრა. უდიდეს მადლობას ვუხდი ნდობისა და მხარდაჭერისთვის.

შუქდა სხვადასხვა ტელეარხით, 17 სტატია და ლინკი დაიდო ჩვენს ვიზიტზე. რეჯო კალაბრიასთან კულტურული ურთიერთობა საქართველოს დიდი ხანია აქვს. ეს ურთიერთობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა თეა ჭანტურიშვილმა დაიწყო და დღემდე აჭარაში მოღვაწე მწერლები, პოეტები, მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ ამ ფესტივალში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ღვაწლი. მათი მხარდაჭერა რომ არა, რთული იქნებოდა ამ ფესტივალზე

- როცა იტალიურ ენაზე გახმიანებულ თქვენს ზღაპრებს ისმენდით... დამსწრეთა რეაქცია და შეფასებები, რომლებიც თქვენთვის საყურადღებოა...

- ფესტივალი საოცრად განსხვავებულ გარემოში ჩატარდა. ღამით, ლამპიონებით გაჩახჩახებული კორტების გვერდით, ულამაზესი ორანჟერეებისა და ასწლოვანი მაგნოლიების ჩეროში მოქცეულ სცენაზე წარგვადგინეს. სცენის გვერდით მოწყობილი იყო წიგნების გამოფენა. წარდგენამდე, უშველებელ მონიტორზე გამოისახა მონაწილის ქვეყანა, ფოტოსურათი, სახელი, გვარი. ჟურნალისტის და წამყვანის მიწვევით ავედით სცენაზე. ჯერ საზოგადოებას გააცნეს ბიოგრაფია, შემოქმედება, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვმუშაობ თოჯინების თეატრში და მაქვს შექმნილი პიესები, ინსცენირებები, სასიმღერო ტექსტები, ვახორციელებ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების მოზიდვას და ინტერესის გაღვივებას თეატრის მიმართ. შემდეგ წამყვანმა დამისვა შეკითხვები, რომლებიც, ძირითადად, ეხებოდა იმას, თუ როგორ ვახერხებ და რამდენად რთულია, ამ ასაკში სამყაროს ვუცქერდე ბავშვის თვალით... დამსწრეთა რეაქცია ჩემს მონათხრობზე იყო სასიამოვნო და საინტერესო. ჩემს შემოქმედებას და პასუხებს რომ უსმენდნენ, ისეთი ღიმილიანი სახეებით მიყურებდნენ, როგორც ბავშვს უცქერს უფროსი. მივხვდი, ისინი ბავშვობაში დაბრუნდნენ, მივხვდი და მესიამოვნა, ამ ჟანრის მწერალი უფროსებისთვის ასოცირდება ლამაზ და უდარდელ ბავშვობასთან.

- როგორც ამბობენ, კალაბრიაში დიდი ქართული სათვისტომო ცხოვრობს... ვინ გაიცანით და რას გვეტყვით მათზე?

- ფესტივალს ქართველთა სათვისტომოს ბევრი წარმომადგენელი ესწრებოდა, ადამიანები, რომლებიც შრომობენ, ეუფლებიან პროფესიებს და მოღვაწეობენ. ისინი განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით გამოირჩევიან. ცალკე მინდა აღვნიშნო ახალგაზრდა ქალბატონი ალბერობელოდან - მარიამ ცხვედაძე, მწერალი, რომელიც ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეწევა. დავმეგობრდით, გავცვალეთ წიგნები. დიდი სიხარულით გადავეცი ჩემი წიგნები ქართველთა სათვისტომოს და მერიის ბიბლიოთეკას. კიდევ ერთი ძალიან ლამაზი და სათნო ახალგაზრდა ქართველი ქალბატონი გავიცანი - ლენა თბილისიდან, რომელმაც გიდობა გაგვიწია რეჯო კალაბრიაში. გვითხრა, რომ შეგვეძლო, ბორნით გადავსულიყავით სიცილიაში. მიუხედავად დროის სიმცირისა (იმ საღამოს ვბრუნდებოდით), სიხარულით გავემგზავრეთ და დავათვალიერეთ ეს უძველესი და ულამაზესი კუნძული, რაზეც მუდამ ვოცნებობდი და მხოლოდ წიგნებიდან ვიცნობდი.

- აჭარისა და კალაბრიის მეგობრული და კულტურული ურთიერთობის პერსპექტივას როგორ უყურებთ?

- ვფიქრობ, წარმატებით გაგრძელდება აჭარისა და კალაბრიის მეგობრული, კულტურული ურთიერთობა. ჩემი, როგორც თეატრის წარმომადგენლის, სურვილია, იტალიამაც გაიცნოს აჭარის თეატრალური ცხოვრება და დიდი იმედით დაველოდები რეჯო კალაბრიაში ჩვენი თოჯინების თეატრის გასტროლს.

- როცა ქალაქს, მის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებდით, იქაურთა ცხოვრების წესს ეცნობოდით... რას გადმოიღებდით მათგან საქართველოში?

- იტალიელები და ქართველები ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ერთადერთი, რასაც ვისურვებდი, უფრო მეტი სილაღე მინდა, გვქონდეს.

- როცა მშობლიურ ქალაქში დაბრუნდით, ბათუმს ახლებურად შეხედეთ?

- ბევრჯერ ვყოფილვარ უცხოეთში, განსაკუთრებით - ევროპის ქვეყნებში... ბათუმი სულ სხვაა, აქ სხვა სითბო, სიყვარული და სილამაზეა, თუნდაც იმიტომ, რომ შენია.

- ახლა რაზე მუშაობთ, როგორია თქვენი სადაგი დღე?

- ჯერ კიდევ ვმუშაობ ზღაპარზე „ზღვის ჯადოქარი“. ძალიან დიდი სიფრთხილით ვეკიდები, რადგან მინდა, იყოს საინტერესო, სასიამოვნო წასაკითხი და, ამავე დროს, ინფორმაციული და შემეცნებითი. ბავშვების ყურადღება მინდა გადავიტანო იმ გლობალურ ეკოლოგიურ საფრთხეებზე, რომელთა წინაშეც ზღვის სამყარო და მისი ბინადრები დგანან. ეს საფრთხე, ჩვენი დაუდევრობით გამოწვეული, ძალიან, ძალიან ადვილად გამოსასწორებელია, თუ ელემენტარულ წესებს დავიცავთ. სიფრთხილით ვეკიდები, რადგან მინდა, ბავშვმა სიამოვნებით წაიკითხოს ზღაპრად მოყოლილი ამბები და ყოველგვარი აკრძალვებისა და თითის ქნევის გარეშე გაიაზროს, რა ხდება, როგორ უნდა მოიქცეს.

- შემოქმედებითი ჩანაფიქრი, რომლის ასრულებაზეც ფიქრობთ...

- ვფიქრობ მოთხრობებსა და ნოველებზე, მაგრამ მეშინია, ჩემი „ზღაპრების ფერია“ არ გამინაწყენდეს და არ გამიფრინდეს. ამას ვერ ავიტან. ამიტომ ჯერ თავს ვიკავებ.

- გარდა შთაბეჭდილებებისა და ზღვა ემოციისა, იტალიიდან კიდევ რა გამოიყოლეთ სამახსოვროდ?

- მართლაც უსაზღვრო შთაბეჭდილებით დავბრუნდი. იტალიის ძალიან ცნობილ ქალაქებზე (რომი, ვენეცია, ფლორენცია, მილანი) მეტად ჩემთვის მიმზიდველი და საოცნებო იყო ნაპოლი, სალერნო, კალაბრია, სიცილია და ამისრულდა კიდეც. დავდიოდი პაპანაქება, თაკარა მზეში, რომელიც საერთოდ არ მაწუხებდა და მესმოდა ულამაზესი, ასწლოვანი მაგნოლიების თუ ჭადრების ხეივანში ჩაძირული უძველესი შენობების ჩურჩული, რომლებიც მახსენებდნენ ბავშვობაში თუ ყმაწვილობაში წაკითხულ ისტორიებს...

- ახლანდელი დალი თედორაძე ბავშვობიდან თუ გამოიხმობს პატარა დალის, რას ეტყვის და თავისი რომელი ზღაპრის წაკითხვას ურჩევს?

- პატარა დალი თედორაძეს ვეტყოდი, რომ არ დაკარგოს დრო. იმოგზაუროს თავისი ქვეყნის კუთხე-კუნჭულებში, სოფლებში, მთებში, სადაც ხელი მიუწვდება. მოინახულოს თვალუწვდენელი მთები, კლდეები, უსმინოს მდინარის ჩუხჩუხს და ნაკადულის რაკრაკს, ჩიტების ჭიკჭიკს, მოეფეროს ხეს, ფოთოლს, ბალახს, ქვას, ხავსს. ხშირად წამოწვეს ყვავილებით მოჩითულ მინდორზე, შეიგრძნოს მიწის სურნელი, ყური მიუგდოს პეპლებისა და ფუტკრების ჩურჩულს. ვეტყოდი, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ამქვეყნად მიუღწეველი არაფერია. ზოგჯერ ისეთი რამ შეიძლება მოხდეს, რაც მხოლოდ ზღაპრებში წაგიკითხავს. კიდევ, ვეტყოდი, ცხოვრება ზოგჯერ ტკივილიანი და მწარეა, უსამართლოდაც შეიძლება ჩათვალო, მაგრამ არ გაბოროტდე, არ დაიკარგო რწმენასა და ურწმუნოებას შორის... სამყაროს თავისი კანონები აქვს! ვურჩევ, ყველა ზღაპარი წაიკითხოს. მაგრამ პირველ რიგში - „როგორ გაჩნდნენ დევები“, „ვარდისფერი თოვლი“ და „ალქაჯების სამფლობელო“.

- თქვენი აზრით, ამ ციფრულ საუკუნეში რატომ არ კვდება ზღაპარი, რა არის მისი ხიბლი და სიდიადე?

- როგორც ავტორს, ჩემი ზღაპრების ეკრანიზაციის დიდი სურვილი მაქვს. მას თავისი დანიშნულება აქვს ნაწარმოების პოპულარიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ, ჩემი აზრით, ვერც ანიმაციამ, ვერც ანიმემ ვერ შეცვალა ის ხიბლი, რაც ზღაპრის წაკითხვას ან მოყოლას ახლავს. ანიმაცია მზა პროდუქტს გთავაზობს, თავად გიხატავს პერსონაჟს, ჩაცმულობას, ფერებს, ბუნებას, მუსიკას. კითხვისას კი შენ ხარ ამ ყველაფრის ავტორი და შემოქმედი. შენი ფანტაზია, წარმოსახვა დაფრინავს, დაქრის, ხატავს, ძერწავს, იბრძვის, ქმნის, რაც გაცილებით სასიამოვნო და ჯადოსნურია.

- და მაინც, რატომ არ კვდება ზღაპარი?

- სანამ კაცობრიობა იარსებებს, იცოცხლებს ზღაპარი, რადგან ის არის ჩვენი ოცნებების, წარმოსახვის, ფანტაზიის საყუდარი. ზღაპარი გვაძლევს საშუალებას, ვიყოთ დედოფლები, უფლისწულები, ბრძენკაცები, ფერიები, კეთილი ჯადოქრები, მისნები, რაინდები. გვაძლევს საშუალებას, დროებით მაინც დავივიწყოთ ყოფიერი ცხოვრება და ვიფრინოთ კრიალა, სუფთა ცაზე, ვიფრინოთ ღრუბლებად, ცისარტყელად, გადავიქცეთ ვარსკვლავებად, მზედ, მთვარედ. ზღაპარი არ გკარნახობს. ის გაყენებს პრობლემის წინაშე და მის გადაწყვეტასაც შენ მოგანდობს.

> ***„ბავშვების ყურადღება მინდა გადავიტანო იმ გლობალურ ეკოლოგიურ საფრთხეებზე, რომელთა წინაშეც ზღვის სამყარო და მისი ბინადრები დგანან. ეს საფრთხე, ჩვენი დაუდევრობით გამოწვეული, ძალიან, ძალიან ადვილად გამოსასწორებელია, თუ ელემენტარულ წესებს დავიცავთ. სიფრთხილით ვეკიდები, რადგან მინდა, ბავშვმა სიამოვნებით წაიკითხოს ზღაპრად მოყოლილი ამბები და ყოველგვარი აკრძალვებისა და თითის ქნევის გარეშე გაიაზროს, რა ხდება, როგორ უნდა მოიქცეს***

„აქამოი“ – პატარა საქართველო ორდუში

პირველი გვერდიდან

საუბრებში გვითხრა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გაკეთდა, ეს თურქულ-ქართულ-ლათინური სამედიცინო ლექსიკონის გამოცემაა, რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ 500 ეგზემპლარად დაიბეჭდა. ყველასათვის ცნობილია, რომ სამედიცინო მომსახურებისთვის უამრავი ქართველი თურქეთის რესპუბლიკაში მიდის, სარგებლობს გიდის სერვისით, რომელიც სამედიცინო ტერმინოლოგიაში დიდად განსწავლული არ არის. ამდენად, ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია. კონსულთან თითქმის 2-საათიანი ვიზიტის შემდეგ, ტრაპიზონის მცირე აია სოფიას ანუ წმინდა სოფიას ტაძარს ვეწვიეთ. ამჟამად იქ, მთავარი ტაძრის გარდა, მუზეუმია, სხვადასხვა პერიოდის ბევრ არტეფაქტსაც შეხვდებით. მცირე აია სოფია XIII საუკუნეში ქრისტიანულ ეკლესიად ააგეს, მაგრამ დღეს იგი მეჩეთად არის გადაკეთებული. ტაძარი გვიანი ბიზანტიური არქიტექტურის ტიპური ნიმუშია - გუმბათოვანი, XIII საუკუნის ულამაზესი და გამორჩეული ფრესკებით, ასევე, შესანიშნავი მოზაიკური იატაკით. ფრესკების ნაწილი დღეს ხელუხლებელია, იატაკი კი ხალიჩითაა დაფარული ლოცვის აღსავლენად.

აია სოფიას მონახულების შემდეგ ორდუში ჩვენებურებთან შესახვედრად გავემგზავრეთ. ვესტუმრეთ ორდუს გაზეთ „ORDU OLAY“-ს რედაქციას. მისმა დამფუძნებელმა ზექირ ოზელმა მათი მუშაობის პრინციპი გაგვაცნო. როგორც აგვიხსნა, ადრე მათ ქალაქში 9 გაზეთი გამოდიოდა, ახლა კი მხოლოდ 3-ია. „გაზეთი „ORDU OLAY“ 1991 წელს დავაარსე. კვირაში 6 დღე ჩვენს მოსახლეობას სიახლეებს ვაცნობთ. ახლა ტირაჟი ცოტა შევამცირეთ, 1000 ცალი იბეჭდება. ვავრცელებთ ართვინიდან - სინოპამდე. პირველი ფერადი გაზეთი ჩვენ გამოვუშვით. წერილები მოსახლეობის ინტერესებზეა მორგებული, ვცდილობთ, რაც მათ აწუხებთ, ხელისუფლებამდე მივიტანოთ. წარმოიდგინეთ, 2 წელი, ყოველდღე პირველ გვერდზე ვწერდით - „ორდუს სჭირდება აეროპორტი“. ეს ამბავი პრეზიდენტამდე მივიდა, ისიც უთხრეს, რომ თუ არ აშენდებოდა აეროპორტი, მოსახლეობა არჩევნებში ხმას არ მისცემდა. მოვლენები დავაჩქარეთ და დღეს უკვე გვაქვს შესაძლებლობა, სადაც გვინდა, ჩვენი ქალაქიდან იქ გავემგზავროთ. მოსახლეობა გვემადლიერება. წიგნიც გამოიცა „ოცნების კვალდაკვალ“, სადაც ჩვენი გაზეთის ყველა იმ ნომრის პირველი გვერდის ფოტოა განთავსებული, რომელშიც ვითხოვდით აეროპორტის მშენებლობას. ბედნიერები ვართ, რომ ეს შევძელით. მედიას დიდი ძალა აქვს. ყოველთვის ვდგავართ ხალხის გვერდით, ვწერთ იმაზე, რისი საჭიროებაც არის იმ მომენტისთვის. მოხარულები ვართ, რომ გვესტუმრეთ და გაგიცანით“, - გვითხრა „ORDU OLAY“-ს დამფუძნებელმა ზექირ ოზელმა.

სამახსოვრო ფოტოების გადაღებიდან სულ მცირე დროში აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი ფოტო, მადლიერების ნიშნად, მათი გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა. ჩვენი სტუმრობა, ასევე, გააშუქა ადგილობრივმა გამოცემამ „ORDU TRIBUN FAZETESI“. აქ სხვა სურათი დაგვხვდა. მისი დამფუძნებელი ჯან აჯარი, ისიც ჩვენებური, გაზეთს ადგილზე ბეჭდავს და ეს პროცესი დიდი სიამოვნებით გაგვაცნო. როგორც გვითხრა, მათი ისტორია 58 წელს ითვლის. ის პირველი გაზეთია, რომელიც ორდუში გამოიცა. გული წყდება, რომ ქართული არ იცის, მაგრამ მისი წინაპრების შესახებ თითქმის ყველა სიახლეს ეცნობა. როგორც „კავკასიის ქართული კულტურის ასოციაციაში“ სტუმრობისას გავიგეთ, ეძებენ ქართული ენის მასწავლებელს, რადგან ბევრმა გამოთქვა წინაპრების ენის შესწავლის სურვილი. დამფუძნებელმა ვოლქან ქარაუჩოღლუმ გვითხრა, რომ ცდილობენ, არ დაივიწყონ საქართველო. გული მწყდება, რომ ქართული არ ვიცი. ამიტომ, კულტურა რომ არ დაგვეკარგა, გადავწყვიტეთ „კავკასიის ქართული კულტურის ასოციაცია“ ჩამოგვეყალიბებინა. ამისთვის ორდუში წამოვედი საცხოვრებლად. აქ ყველაზე ბევრი ჩვენებურია. როცა ჩემი შვილი მეკითხება, მამა, სადაა საქართველო, გულზე ხელს ვიდებ და ვპასუხობ, აქაა, მამა, ჩვენი საქართველო (ცრემლი მოადგა). ასე ვატარებთ ჩვენს საქართველოს უკვე 140 წელია. არ მინდა, ჩვენმა შვილებმა დაივიწყონ, ვისი გორისა არიან. ვიმედოვნებ, სამყაროს დასასრულამდე ერთად ვიქნებით, გვინდა გაღრმავდეს ჩვენი ურთიერთობები. მოხარულები ვიქნებით, თუ აფხაზეთშიც ერთად ჩავალთ და ჩვენს სათქმელს ვიტყვით. მადლობა სტუმრობისთვის, მშობლო და ის სიყვარული, რომელიც ბებია-ბაბუებისგან გამოჰყვათ. „სტამბოლში დავიბადე და გაზრდილი ვარ. ეს ურთიერთობა აუცილებლად გაღრმავდება, მე ამის ძალიან მჯერა“, - გვითხრა ბატონმა ვოლქანმა.

ვოლქან ქარაუჩოღლუსთან სტუმრობისას, სადილზე ქართული კერძები დაგვახვედრეს. როგორც შემდეგ გავიგეთ, ჩვენთან შესახვედრად თურმე ერთი კვირის განმავლობაში ემზადებოდნენ. ხარჩო დედას მოამზადებინა, მალახტო - მეუღლეს, რითაც ჩვენ მიმართ განსაკუთრებული სიყვარული და სითბო გამოხატეს.

ასეთივე ოჯახურ გარემოში მიგვიღო რესტორან „აქამოის“ მფლობელმა ვოლქან აიდინიმ. ეს ობიექტი ორდუს გადმოჰყურებს. ადგილი ბატონი ვოლქანისთვის სიმამრს უჩუქებია, ისიც ჩვენებური, ქობულეთელი ყოფილა, გვარად ლობჟანიძე. რესტორანს ქართული სახელი შეურჩიეს - „აქამოი“, უნდათ, ბევრ ქართველს უმასპინძლონ, გაიგონ წინაპრების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფუფუნება ხშირად არ აქვთ. „აქამოიში“ ვახშმის შემდეგ ცოტა გულდაწყვეტილებმა, თუმცა სიამაყის განცდით დავტოვეთ იქაურობა - სადღაც შორს, სხვა ქვეყანაში არის ადგილი, სადაც მუდამ გველიან, სადაც პატარა საქართველოა, სადაც სულ ცდილობენ, არ დაივიწყონ საკუთარი ფესვები, წინაპრების კულტურა, ალბათ, ნებისმიერისთვის რომ გვეკითხა, სადაა საქართველო, ყველა გულზე ხელს მიიდებდა.

ალბათ, ოსმან ჩალიშქან მჟავანაძემაც ამიტომ გვაჩუქა სამი დაუვიწყარი დღე, რომ ჩვენებურებთან ურთიერთობისას უკეთ შეგვეგრძნო ის სიყვარული, რომელსაც ორდუში მცხოვრები ქართველები გულით ატარებენ. მადლობა მას ამისთვის. იმედს ვიტოვებთ, ჩვენი ურთიერთობა უფრო გაღრმავდება და ერთად ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ.

დაბოლოს, დიდი მადლობა ჩვენს არაჩვეულებრივ გიდს მაგდა პაქსაძეს, რომელიც სამი დღის განმავლობაში ერთგულად გვემსახურა და ჩვენებურებთან კომუნიკაცია გაგვიადვილა.

ფესტივალი „არტ შოუ“ – მრავალფეროვანი პროგრამით

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმში მეორედ ტარდება ფესტივალი „არტ შოუ“, რომელიც 14 სექტემბერს დაიწყო და 25 სექტემბერს დასრულდება. მისი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ერეკლე გურგენიძეა, სამხატვრო ხელმძღვანელი და დამდგმელი რეჟისორი - მაია გაჩეჩილაძე, მხატვარი და ქორეოგრაფი - ნეიკო ნეიძე

როგორც ფესტივალის ორგანიზატორები ამბობენ, „არტ შოუ"" მთავარი კონცეფცია არა მარტო თანამედროვე ქართული ხელოვნებისა და ხელოვანების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, არამედ ახალგაზრდა თაობისათვის სტიმულის მიცემაა, რომელიც თავის გზას ხელოვნებაში ახლა იწყებს.

პირველი ფესტივალი „არტ შოუ“ შარშან ზაფხულში გაიმართა. მაშინ ჩატარდა მასტერკლასები ვოკალში, ასევე, წიგნების პრეზენტაცია, დაიდგა ბაროკოს ეპოქის საოპერო სპექტაკლი „მოახლე ქალბატონი“. პრემიერა ბათუმის თეატრის სცენაზე გაიმართა, საოპერო მომღერლების მონაწილეობით კი გალა კონცერტზეც მიიპატიჟეს მსმენელი.

აღსანიშნავია, რომ წელს ფესტივალი უფრო მასშტაბური გახდა და მისმა ორგანიზატორებმა ბევრად მრავალფეროვანი საფესტივალო პროგრამა წარმოადგენს. მთავარი სპონსორი კვლავ ბათუმის მერიაა. მას არაერთი მხარდამჭერი და პარტნიორი ჰყავს.

ფესტივალი 14 სექტემბერს ნეაპოლური სიმღერების საღამოთი, „იტალიურ ეზოში“, შესანიშნავ გარემოში დაიწყო. შესრულდა მსოფლიო საოპერო მუსიკის შესანიშნავი ნაწარმოებები.

ხელოვნების მუზეუმში მხატვარ ნეიკო ნეიძის საოპერო კოსტიუმების ჩვენება მოეწყო. დეფილეს ორგანიზატორი სამოდელო საგენტოს ხელმძღვანელი ია ღონიაძე გახლდათ. ასეთი სახის გამოფენა ბათუმში არ ჩატარებულა. მას ძალიან მოუხდა მუზეუმის საგამოფენო დარბაზი.

- სასიამოვნოა, რომ წელს ფესტივალი ბევრად მეტი კომპონენტისგან შედგება. დამაგვირგვინებელი იქნება 25 სექტემბრის გალა კონცერტი საზაფხულო თეატრში, მანამდე მასტერკლასებს ვატარებთ. ხელოვნების მუზეუმში სასცენო კოსტიუმები 30-ზე მეტმა მოდელმა წარადგინა. 21 სექტემბერს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ფოიეში დიზაინერ ია ღონიაძის შემოდგომა-გაზაფხულის კოლექციის ჩვენება მოეწყობა, - გვითხრა მაია გაჩეჩილაძემ.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება მასტერკლასების კვირეული ვოკალურ ხელოვნებაში (დოდო დიასამიძე), სამსახიობო ოსტატობასა და სასცენო მეტყველებაში (მენტორი - მაია გაჩეჩილაძე), გრიმის ხელოვნებასა და კოსტიუმების დიზაინში (მენტორი - ნეიკო ნეიძე). ბოლოს ორგანიზატორები ბათუმელებსა და მის სტუმრებს თეატრალიზებულ/კოსტიუმირებულ გალა კონცერტზე მიიწვევენ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტები, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო სტუდიის მომღერლები, კონსერვატორიის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. საღამო ზღვისპირა პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართება.

სპორტი

ბათუმმა ქართულ ჭიდაობაში მსოფლიოს ღია აბსოლუტურ ფალავნობას უმასპინძლა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტისა და მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის მხარდაჭერით, ბათუმმა მსოფლიოს ღია აბსოლუტურ ფალავნობაში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა

ტურნირის ოფიციალურ გახსნას დაესწრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, რომელმაც თავის გამოსვლაში აღნიშნა: „ქართული ჭიდაობა, ქართველი კაცის გენშია, ჩვენი გენეტიკური კოდი და იდენტიფიცირების საშუალებაა. მადლობა, რომ მსგავსი ასპარეზობისთვის ბათუმი შეარჩიეთ. ყოველთვის გქონდეთ ჩვენი მხარდაჭერის იმედი“. მან ასპარეზობის მონაწილეებს, გულშემატკივრებსა და სტუმრებს მერაბ დვალიშვილის ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცა და თითოეულ სპორტსმენს წარმატება უსურვა.

ტურნირის მონაწილეებს მიესალმნენ ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე, აჭარის სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირმა ნიჟარაძე, მისი მოადგილე ირაკლი აბულაძე და მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის დირექტორი შოთა დავითაძე.

ტურნირი საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისა და აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა და მასში, საქართველოს გარდა, 15 ქვეყნის 100-ზე მეტი ფალავანი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, პრიზიორები. ტურნირი ჯერ 80, 90, 100 და 100 კილოგრამს ზევით წონით კატეგორიებში ჩატარდა. საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭიდავეებს მედლები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ. მხოლოდ ერთ წონით კატეგორიაში გავიდა მესამე ადგილზე ირანის წარმომადგენელი, დანარჩენი 11 ადგილი ქართველ მოჭიდავეებმა გაინაწილეს.

ფალავნობის მოსაპოვებლად ასპარეზობის სურვილი საპრიზო ადგილებზე გასულმა 6 მოჭიდავემ გამოთქვა. უმძიმეს წონაში გაიმარჯვა, ასევე მსოფლიოს აბსოლუტური ფალავნის ტიტული გარდაბნელმა გურამ თუშიშვილმა მოიპოვა. მეორე და მესამე ადგილებზე თბილისელი გელა ზაალიშვილი და გორელი გიორგი პაპუნაშვილი გავიდნენ.

- ბათუმი ჩემთვის ბედნიერი ქალაქი გამოდგა, - გვითხრა გურამ თუშიშვილმა, - მადლობა ტურნირის ორგანიზატორებს.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტების საყურადღებოდ!

ფასიანი წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთი «აჭარა» ყოველ ნომერში გამოყოფს სამ შავ-თეთრ გვერდს, რომელთა საერთო ფართი შეადგენს 2700 კვ სანტიმეტრს, აგრეთვე ბოლო - ფერად გვერდს, რომლის ფართიც 900 კვ სანტიმეტრია.

ფასი: შავ-თეთრ გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 30 თეთრი; ფერად გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 50 თეთრი.

სკოლა „პროგრესის“ პროფესიული განათლების ცენტრი გთავაზობთ

უფასო სწავლებას

IT მიმართულებით: ვებტექნოლოგიები; კომპიუტერული ქსელი და სისტემები

საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირები: ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, პარალელურად, დაეუფლებიან პროფესიულ და სრულ ზოგად განათლებას. მიიღებენ სახელმწიფოსგან აღიარებულ დიპლომს, რომელიც გათანაბრებულია ატესტატთან, რაც საშუალებას მისცემთ, სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებელში ან/და დასაქმდნენ.

მინიმუმ **სრული ზოგადი (12 კლასი) განათლების მქონე პირები:** დაეუფლებიან მაღალანაზღაურებად პროფესიას და მიიღებენ სახელმწიფოსგან აღიარებულ დიპლომს, რაც საშუალებას მისცემთ, დასაქმდნენ საინტერესო და მოთხოვნადი პროფესიით.

ზრდასრულებს სკოლა უზრუნველყოფს მათ ინტერესებზე მორგებული სასწავლო გრაფიკით.

მისამართი: ვ. შამილაძის ქ. №30;

ტელ: 579 65 65 23.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ დოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/09/24, 17 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მისტიკური და მაგიური ფერები – წყალში, ანუ „არტპოლიგლოტი“ ებრუს სწავლებას იწყებს

ბათუმელი თვითმყოფადი მხატვრის ნინო გოგოლიშვილის, იგივე გოგოლის სახელოსნო კარგა ხანია იქცა ბათუმელთა იმ წრის შეხვედრების, აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და საინტერესო სიახლეების გაცნობის ადგილად, რომელსაც ნინო თავად არჩევს

თავშეყრის ძირითადი მიზეზი წიგნის კლუბია, რომელიც ნინომ შექმნა, თუმცა მისი წევრების გარდა აქ ხშირად ნახავთ სხვა ცნობილ ბათუმელ თუ საქართველოს სხვა ქალაქებიდან მოწვეულ მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, რეჟისორებს... ნინოს საკუთარი ხელით და გემოვნებით შექმნილი ფერადი ინტერიერი, სიმწვანეში ჩაფლული ეზო ყვავილნარითა და მანდარინების ბაღით საოცარ, სამოთხისებრ გარემოს ქმნის ასეთი შეხვედრებისთვის, მისივე მოფიქრებული კრეატიული სიურპრიზებისთვის, აქვე მხატვრის მიერ დაარსებულ სამხატვრო სტუდია „არტპოლიგლოტისთვის“.

ზემოთ შემთხვევით არ გვითქვამს, რომ აღნიშნული გარემო სიახლეების გაცნობის ადგილია, ვფიქრობ, სწორედ განვითარების შეუფერხებელი ტემპით განსაკუთრებით საინტერესოა ეს შემოქმედი. იგი მუდმივად ეძებს თვითგამოხატვის ახალ საშუალებებს, თვალს ადევნებს მსოფლიოში ხელოვნების ახალ-ახალ ტენდენციებს და ხშირად განიხილავს წიგნის კლუბში. შესანიშნავად ფლობს რამდენიმე ენას და ამჟამადაც ახალი ენის (ფრანგული) შესწავლის პროცესშია, დოსტატებულია მინანქრის ხელოვნებაშიც. ახლახან კიდევ ერთი სიურპრიზის მოწმენიც გავხდით: ამ ხელოვანის არსენალში ამიერიდან წყალზე ხატვაც ანუ ებრუც შედის. ამ ზაფხულში მან ახალი არტპროექტი წამოიწყო თურქ მეგობარ, მხატვარ ბაჰარ აქდენიზთან ერთად და ასე დაარქვა - „ფერები წყალში - ორი მხატვრის არტტანდემი ანუ ებრუ“. ნინომ წყალზე ხატვის ხელოვნებაში ქართული ორნამენტები შეიტანა და გადაწყვიტა, ამ კუთხითაც გაუზიაროს მსურველებს თავისი ცოდნა. მსურველებს შეუძლიათ ნინოს სამხატვრო სტუდიაში დაეუფლონ წყალზე ხატვის ტექნიკას.

ჩვენ დავინტერესდით ამ შემოქმედებითი ტანდემით და ვესაუბრეთ ორივე მხატვარს ამ სიახლესა და სხვა საინტერესო საკითხებზე.

ბაჰარ აქდენიზი:

- თქვენს შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ანიმალისტურ ჟანრს, ალბათ, ცხოველები ძალიან გიყვართ.

- დიახ, ასეა. სახლში არაერთი მაწანწალა კატა და სხვა ცხოველებიც შევიფარე. ვცდილობ, ყოველთვის დავიცვა ისინი და მათი მეგობარი ვიყო.

- უმეტესად რა შთაგაგონებთ ხოლმე ახალი ტილოს შექმნას?

- ხშირად ვხატავ ხეებს, რადგან, ვფიქრობ, რომ მათ ადამიანების ესმით. განსაკუთრებით მიყვარს ზეთისხილის ხატვა. ძალიან განვიცდი ბოლო წლებში ტყეებში მასობრივი ხანძრების მომრავლებას. მინდა, რომ ბუნებაში არასდროს არაფერი დაიწვას, ადამიანები უფრო მეტს ფიქრობდნენ ბუნებასა და ერთმანეთზე. იმედია, ოდესმე აღარ იქნება ომი ჩვენს სამყაროში.

- რას ნიშნავს თქვენთვის საქართველოში ჩამოსვლა და არის თუ არა ბათუმი თქვენი შთაგონების წყარო?

- ბათუმში უკვე მესამედ ჩამოვედი. აქ ხატვა ძალიან ემოციურია ჩემთვის, შემიყვარდა ქართული კულტურა და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს მეგობარ მხატვარ ნინო გოგოლიშვილს. ვფიქრობ, რომ იგი ძალიან დიდი პატრიოტი და, ასევე, კოსმოპოლიტია. მისი ინსპირაციაა ადამიანები სხვადასხვა ქვეყნიდან, ასევე, ქალაქები, მაგრამ ვგრძნობ, რომ მის ხელოვნებაში მთავარი მუხტი მაინც ქართულია და ეს სიყვარული გადამდებია. ბათუმი ნამდვილად გახდა ჩემთვის საყვარელი სამუშაო ადგილი. ნინოს სახელოსნოში უკვე მესამეჯერ ვმუშაობ და ეს სერია განსაკუთრებულად საინტერესო გამოვიდა. ამ სახელოსნოს ინტერიერი განსაკუთრებულია, მარადმწვანე მანდარინის ბაღში ხატვა და აქვე, მანდარინის ჩაის მირთმევა დიდი ენერგიის მომცემია მხატვრისთვის. ახლა ნინოს პორტრეტზე ვმუშაობ, ის კი ჩემს პორტრეტს ხატავს.

- რით არის საინტერესო თქვენთვის ებრუზე მუშაობა?

- ებრუ ჩვენი ტრადიციული დეკორატიული ხელოვნებაა, რომელსაც ძალიან ვაფასებთ. ვცდილობ, თურქული ებრუს ტრადიციებიც დავიცვა და მასში სიახლეებიც შევიტანო. ძალიან მიხარია ნინოს დაინტერესება ამ ტექნიკით, რადგან მან ებრუს თითქოს ახალი სული შთაბერა. გაოცებული ვარ, როგორ მოახერხა მისი „გაქართულება“ და მეც კი მახატინა ქართული ორნამენტებით.

ნინო გოგოლიშვილი:

- რამ შთაგაგონათ ახალი არტპროექტის წამოწყება?

- ეს არის ორი მხატვრის არტკოლაბორაცია. ყოველთვის საინტერესოა სხვადასხვა კულტურის ხელოვანების ერთად მუშაობა და შედეგი. ებრუ ჩვენს შემთხვევაში ორი ქვეყნის ხიდი გახდა, დამაკავშირებელი დეკორატიული არტი, რომელიც სწრაფად აახლოებს ადამიანებს. ვთვლი, რომ მხატვრები, მართლაც, ელჩები არიან, რადგან სწრაფად ამეგობრებენ სხვადასხვა ერის ადამიანებს ერთმანეთთან. ებრუ ანუ წყალზე ხატვა არის ჩემი ახალი ინსპირაცია. წლების წინ კაბადოკიაში ვცადე პირველად, მაგრამ ახლა მეტი ინტერესი გამიჩნდა. იგი ძალიან ძველი აზიური ხელოვნებაა, მერვე საუკუნიდან გაჩნდა თურქეთში, ხშირად გამოიყენებოდა წიგნების ილუსტრაციებისთვის. მისი სახელწოდება სპარსული ენიდან მოდის, ებრუ ნიშნავს „ღრუბლებს“, რადგან თავიდან წყალზე ხატვის ტექნიკის ფაქტურა მიამსგავსეს ღრუბლებს. პირველად ერქვა ებრი, რომელიც შემდეგ ებრუდ შეიცვალა. სპარსეთსა და სხვა აზიურ ქვეყნებშიც იგი საკმაოდ პოპულარულია. ბოლო წლებში ევროპელებმაც შეისწავლეს წყალზე ხატვის ტექნიკა. ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ებრუში ახალი, ქართული სტილით მუშაობა, ეს კი ყველაზე მეტად ძველმა აჭარულმა ნაივურმა ნაქარგობამ შთამაგონა. ვცდილობ ტრადიციული მეთოდითაც ვიმუშაო და ექსპერიმენტებსაც არ შევუშინდე, ახალი სიცოცხლე მივცე ამ ხელოვნებას... საკუთარი მანერაც ვიპოვე წყალზე ხატვაში. ქართული ემოციით შექმნილი კომპოზიციები, ვფიქრობ, წყალმაც განსაკუთრებულად მიიღო და დაიმშვენა. ებრუზე მუშაობის დროს რომ მაკვირდებიან, ხშირად მეუბნებიან, რომ ეს ყველაფერი ცოტათი ჯადოქრობას ჰგავს... მხატვარი ილუზიონისტს ემსგავსები, რადგან როცა წყალში ჩააცურებ ფურცელს, იქიდან რა ამოვა, წინასწარ არავინ იცის. ზუსტად ეს მომენტი ხდის ებრუს განსაკუთრებულს. წყალზე ხატვა ნებისყოფას, თითების სისწრაფესა და ფანტაზიას მოითხოვს, რადგან წყალი ბოლომდე არასდროს დაგემორჩილება, თუმცა ეს სირთულეც კი ამ ტექნიკას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ხელოვანისათვის.

- თქვენი აზრით, როგორ დამკვიდრდება წყალზე ხატვის ტექნიკა ქართულ რეალობაში?

- აგვისტოში დავიწყე ებრუს მასტერკლასები ჩემს სახელოსნოში ბაჰართან ერთად, სექტემბრიდან კი ჩემს სტუდიაში „არტპოლიგლოტი“ მსურველებს ებრუს შემსწავლელ კურსებზე ვიწვევ. ებრუ ერთგვარი არტმედიტაციაცაა. სერიოზული კომპოზიციების შექმნასთან ერთად, ადამიანს ამ ტექნიკის გამოყენებით შეუძლია, უბრალოდ, განიტვირთოს, დაისვენოს. ეს არის ფიზიკური და, პირველ რიგში, მენტალური ჯანმრთელობა. მსურს ადამიანებს ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობა შევაყვარო. ებრუთი საკმაოდ მარტივია, თავი იგრძნოთ მხატვრად მაშინაც კი, ხატვისთვის საჭირო განსაკუთრებული მონაცემები თუ არ გაქვთ. ებრუს კურსების ორი პროფილი გვექნება - სამოყვარულო და აკადემიური. ფერები წყალში ნამდვილად არის მისტიკური და მაგიური.

- ველოსპორტი განსაკუთრებით გიყვართ. იგი შემოქმედებით მუხტსაც გმატებთ?

- დიახ,ნამდვილად. ჩემთვის ველოსიპედი არ არის მხოლოდ გადასაადგილებელი საშუალება ან მხოლოდ სპორტი. იგი ინსპირაციაშიც მეხმარება. ყოველდღიურად ვვარჯიშობ და ეს ძალას მაძლევს, ვიყო მომზადებული მძიმე ფიზიკური შრომისთვის სახელოსნოში. ერთ-ერთი ველოკლუბის წევრიც ვარ. ბათუმის ველომოყვარულებთან ერთად ვცდილობ, ვიაქტიურო ველოსპორტის პოპულარიზაციისთვის. ვფიქრობ, ბათუმს აქვს პოტენციალი, რომ გახდეს ველოქალაქი. იმედია, მალე გვექნება სრულად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა ველოთი გადაადგილებისთვის. ველოთი ვარჯიშის დროს ყოველთვის თან დამაქვს „არტეტიუდნიკი“ და გზადაგზა, ღია სივრცეში ვაკეთებ ესკიზებს. ამას ჩემს მოსწავლეებთან ერთადაც ხშირად ვაკეთებ, სტუდიაში მაქვს სამოყვარულო არტპროფილი „ხატე ველოთი სეირნობისას“, რაც ძალიან მოსწონს ყველას.

- რა არის თქვენი ბოლოდროინდელი ინსპირაცია?

- ყოველთვის მეცვლება შთაგონების წყარო, რადგან ცხოვრება და სამყარო ძალიან დინამიკურია. ახლა პარალელურად რამდენიმე სერიაზე ვმუშაობ სხვადასხვა ინსპირაციით:ალბინოსები; ნაივური, აჭარული ნაქარგობის ემოციით; მფრინავი ქალები; პატარა ადამიანები (ნანიზმის დიაგნოზით); თვალისჩინი, ანუ მეგობრების პორტრეტები (ვაგრძელებ მათ გაცოცხლებას ნატურიდან). ხშირად ვმუშაობ ანიმალისტურ ჟანრზე, რადგან ძალიან მიყვარს ცხოველები, მათ შორის ჩემი ფისო მოანა, რომელიც ქუჩიდან შევიფარე. აუცილებლად გამოვეხმაურები ბოლოდროინდელ მოვლენებს თურქეთში, სადაც მსჯელობენ ყველა უპატრონო ცხოველის მასობრივად დახოცვაზე, იმედი მაქვს, ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ. ბალიქესირის ანუ ჩემი მეგობრის, ბაჰარის ქალაქის მერი ეწინააღმდეგება ასეთი გადაწყვეტილების მიღებას. იმედია, ყველა ქალაქი მიბაძავს. ჩვენთანაც ძალიან ბევრი პრობლემაა ცხოველებთან დაკავშირებით. ძალიან მინდა, რომ აღარ იყოს ამდენი მაწანწალა ძაღლი, ნებისმიერ ცხოველს უნდა ჰქონდეს თბილი სახლი, საჭმელი და მედიკამენტები. მინდა, რომ აღარავინ გამოაგდოს ცხოველი სახლიდან იმის გამო, რომ მობეზრდათ, უფრო მოწესრიგებული თავშესაფრები უნდა აშენდეს და ბევრი გააზრებული პროექტი განხორციელდეს ცხოველების საკეთილდღეოდ. ყველაზე მეტად ის მინდა, რომ ადამიანებმა შეიგნონ - „მაწანწალა“ ცხოველი თავისთავად არ ჩნდება, ისინი ადამიანების უპასუხისმგებლობის შედეგია. ეს მიჩენს პროტესტს, რაც ხშირად მახატინებს ცხოველებს...

- თქვენი საავტორო სტუდია „არტპოლიგლოტი“ უკვე 4 წელია არსებობს. რა სიახლეებს შეთავაზებს იგი ქალაქს სამომავლოდ?

- მეამაყება, რომ სტუდია დღემდე აქტიური, სიცოცხლით სავსეა. იგი ნამდვილად გახდა ნავსაყუდელი ხელოვანებისთვის. სულ ბოლო სიახლე სწორედ ებრუს შემოტანაა სასწავლო პროგრამაში, მაგრამ წინ კიდევ ბევრი გეგმა გვაქვს და ყოველთვის ვიქნებით სიახლეების დამკვიდრების კერა. ჩვენი მიზანია, ქალაქში ხელოვნების რეალურად დამფასებელი ბევრი ადამიანი იყოს. ბუნებრივია, მთავარი აქცენტია თავისუფალი, თვითმყოფადი ხელოვანების გამოზრდა. ჩვენ ხშირად ვამბობთ: „ხატეთ და იკითხეთ ჩვენთან

ერთად მანდარინების ბაღში მანდარინის ჩაის სურნელით“.

- „მხატვრის წიგნის კლუბი - პინა“ - ამაზეც გთქვათ რამდენიმე სიტყვა. აქაც რა სიახლეებს შეიძლება ველოდოთ?

- სწრაფად გავიდა დრო, წიგნის კლუბი 17 აპრილს 4 წლის გახდება. იგი ტრანსფორმირდა, დაღვინდა და ბევრი მიმართულება დაემატა. აქაც მთავარი მოტივი იყო ლიტერატურის, ზოგადად, ხელოვნების მოყვარული ადამიანების პოვნა. წიგნის განხილვის გარდა საკმაოდ ბევრი არტპროექტი განხორციელდა - პოეზიის საღამოები, ჩაის დეგუსტაცია, კულინარიული მასტერკლასი და ასე შემდეგ. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, გვქონოდა საერთო საქმე, ინტერესები. სწორედ ამიტომ დავიწყეთ წიგნის კლუბის წევრებმა ფრანგულის კურსზე ერთად სიარული. ეს იყო წაკითხული წიგნის ნაკვალევზე გაყოლაც. ფრანგულს რომ დავეუფლებით, წავალთ ტურზე საფრანგეთში და ყველა იმ ადგილს ვნახავთ, რომლებიც ამა თუ იმ წიგნში იყო აღწერილი. სწორედ წიგნი, ლიტერატურა გახდა ამ ენის შესწავლის მიზეზი, ეს არის ბადრი თევზაძის „პარიზში წასვლას რა უნდა?“. კლუბის წევრები სტადიონზეც კი ერთად დავდიოდით ფეხბურთის საყურებლად. ჩვენ ვართ ჯგუფი, რომელსაც მუდამ აქვს თავისი პოზიცია, ემოცია (უარყოფითი იქნება თუ დადებითი), რასაც ყოველთვის გამოხატავს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით. წიგნის კლუბი არის შემეცნებითი და ასევე, კულტურული დასვენების კერა, რაღაც ახლის აღმოჩენისა და ერთმანეთისთვის გაზიარების ბედნიერების ადგილი და იგი ყოველთვის იქნება სიმართლისა და სიკეთის მხარეს.

წარმატებას ვუსურვებთ ამ მრავალმხრივ, შრომისმოყვარე და მუდმივი განვითარებისკენ მიდრეკილ ადამიანს, რომელიც სხვებსაც სიახლეებისკენ, საკუთარი პოზიციის გამოხატვისკენ, თვითრეალიზაციისკენ უბიძგებს. ვფიქრობთ, ებრუს სასწავლო კურსზე ჩარიცხვის მსურველები ცხოვრების კიდევ ერთ სტიმულს და ბედნიერებას იპოვიან ნინოს საავტორო „არტსტუდია პოლიგლოტში“.

მარინა მითაიშვილი